# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 5 ნოემბერი, 2014 წელი.

№225 (7606)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## „ასეთი დამოკიდებულება აფხაზმა ხალხმა თავისი საქციელის გამო დაიმსახურა“




ასლან კობახია: ჩვენ გვიყურებს ხალხი, აინტერესებთ, ვინ ვართ, გვიყურებს ჩვენი ხალხი, რომელიც სიკვდილის შიშით გარბის თბილისში. როგორ შევაჩეროთ ეს ყოველივე, როგორ შევაჩეროთ ეს სიღატაკე, როგორ განვავითაროთ ეკონომიკა? ამის პარალელურად რუსეთის მიერ ახალი პროექტით შემოთავაზებული წინადადება სხვა არაფერია, თუ არა უპატივცემულობა მათ მიმართ, თუმცა კი, ასეთი დამოკიდებულება აფხაზმა ხალხმა ბოლო წლების განმავლობაში თავისი საქციელის გამო დაიმსახურა კიდეც. ჩვენ უნდა განვავითაროთ ჩვენი ეკონომიკა და მყარად დავდგეთ ფეხზე. გამუდმებით თხოვნა — მომე, მომე, უნდა დამთავრდეს.

3



## ირაკლი ალასანია:

## ეს არის შეტევა საქართველოს ევრო-ატლანტიკურ არჩევანზე

ირაკლი ალასანიამ პარტიის ოფისში საგანგებო ბრიფინგი გამართა. ბრიფინგს ალექსი პეტრიაშვილი, ვიქტორ დოლიძე, ზურაბ აბაშიძე ესწრებოდნენ:

**„მე დღეს მინდა, მივმართო ჩვენს საზოგადოებას ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებზე თავდაცვის სამინისტროსთან დაკავშირებით პროკურატურის ნაბიჯებზე, რაც დღესაც გაგრძელდა და წაუყენეს ბრალი. მე მინდა, ცალსახად ვთქვა, აშკარად შეინიშნება პოლიტიკური სარჩული. როდესაც თავდაცვის მინისტრი წასული იყო კოლეგა მინისტრებთან შეხვედრაზე, მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, მაშინ, როდესაც დღეს გაერთიანებული შტაბის უფროსი იმყოფება ამერიკელ კოლეგასთან ვაშინგტონში, გრძელდება დაკავებები. ჩვენ არასდროს არ გვითქვამს, რომ გამოძიებას ვინმე წინ უნდა დაუდგეს, მაგრამ გვქონდა ეჭვი, თუ რა საფუძველი იყო ამ ადამიანების ციხეში ყოფნისა, ისინი არსად არ გარბოდნენ. ეს მიქმნის ეჭვს, რომ საქმე გვაქვს მიზანმიმართულ შეტევაზე თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ, რომელიც არის ჯაჭვი ჩვენი ქვეყნის კავშირისა ნატოსა და ევროკავშირთან, ხვალ მივმართავ ჩვენი მმართველი კოალიციის პოლიტიკურ საბჭოს, რომ შევიკრიბოთ და განვიხილოთ, ეს არის შეტევა საქართველოს ევროატლანტიკურ არჩევანზე. ეს არის შეტევა იმ სტრუქტურაზე, რომელიც გამორჩეულია თავისი მიღწევებით, მე ძალიან კარგად ვიცი ვისი გორის ვარ, მე ვერ შემაშინებს ვერც პროკურატურა, მე გპირდებით ქართველ საზოგადოებას, რომ ბოლომდე მივიყვანთ ჩვენ მიერ დაწყებულ საქმეს და ვუერთგულებთ იმ იდეალებს, რომლითაც ჩვენს საზოგადოებასთან ერთად ვიბრძოლეთ“, —** განაცხადა ალასანიამ.

## დავით ლორთქიფანიძემ უარყო, რომ ჩვენი მუზეუმები იძარცვება

5

## ტაო-კლარჯეთის ზოგიერთ ტაძარსა და ართანუჯის ციხესიმაგრეს თურქებმა სახელები გადაარქვეს



3

### სოსო ცისკარიშვილი:

## პროკურატურა როგორც იყო საქართველოს სირცხვილი, სამწუხაროდ, ასეთადვე რჩება



7



### დიმიტრი ორეშკინი:

## რუსეთის პოლიტიკა პრაგმატული და ცინიკურია

4

### ⊙ დღის ამოჩაზურიდან

— განაცკრიმინალთა აქცია 15 ნოემბერს მხოლოდ რუსეთს აძლევს ხელს და ზუსტად ამ დაძაბულობის ინსპირირება უნდა ამ მეხუთე კოლონას საქართველოში. ორშაბათიდან ჩვენ უნდა დავიწყოთ საზოგადოებრივი არხის პიკეტირება მხოლოდ ერთადერთი მოთხოვნით: ღია დისკუსიისთვის გახსნან სატელევიზიო ეთერი, რომ საზოგადოების ხმა მოსახლეობამდე მივიდეს. ჩვენ არ უნდა დავუშვათ ქვეყანაში 1991 წლის 22 დეკემბერი.




## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

# შეხვედრები პრეზიდენტთან



**გაეროს კონფერენციაზე ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს პან გი-მუნს შეხვდა.**

მხარეებმა საქართველოსა და გაეროს, როგორც უმნიშვნელოვანესი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის, თანამშრომლობაზე ისაუბრეს, რომელიც საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების სადარაჯოზე დგას; მათ შორის, იცავს სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის, საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოყენებასა და ძალისმიერ მუქარაზე უარის თქმის, სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის პრინციპებს.

პან გი-მუნთან შეხვედრისას ასევე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ბოლო დროს აფხაზეთთან დაკავშირებით განვითარებულ პროცესში, პრაქტიკულად, ყველა ამ პრინციპის დარღვევის საფრთხის წინაშე დადგა მთელი მსოფლიო. საქართველოს პრეზიდენტმა, უპირველესად, ყურადღება გაამახვილა ამ პროცესებში გაეროს აქტიური ჩაბმულობის აუცილებლობაზე.

საუბარი ასევე შეეხო საქართველოს უფრო მეტ ჩაბმულობაზე გაეროს საერთაშორისო პროექტებში. გენერალურმა მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა ისიც, რომ მომავალი წელი ძალზე მნიშვნელოვანია გაეროსთვის, განსაკუთრებით, განვითარების საკითხებთან დაკავშირებით მსოფლიოს კონსოლიდაციის თვალსაზრისით.

* * *



**საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ეუთოს გენერალურ მდივანს ლამბერტო ზანიერის შეხვდა. მხარეებმა, უპირველესად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარების შესახებ იმსჯელეს. გიორგი მარგველაშვილმა ყურადღება მავთულხლართების საკითხზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ რუსეთთან დაძაბულობის დეესკალაციის მიზნით საქართველოს მხრიდან გადადგმული კონსტრუქციული ნაბიჯების მიუხედავად, პოლიტიკური ურთიერთობის ნორმალიზება არ მოხერხდა და რუსეთი აგრძელებს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას.**

ქვეყნის პირველი პირის განცხადებით, რუსეთი გეგმავს წლის ბოლომდე აფხაზეთთან გააფორმოს ე.წ. ხელშეკრულება „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“, რაც პირდაპირი ნაბიჯია აფხაზეთის ანექსიისკენ.

ქართული მხარის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება დიდად აფასებს ეუთოს ჩაბმულობას მიმდინარე პროცესებში და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ეუთოს ეფექტიან წარმომადგენლობას ადგილებზე. ასევე აღინიშნა, რომ მოსკოვს მკაფიო გზავნილი უნდა მიუვიდეს ჟენევის ფორმატით კონსტრუქციული მოლაპარაკების დაწყების აუცილებლობის თაობაზე; მით უფრო, რომ ჟენევის დისკუსიას საქართველო განიხილავს ერთადერთ ფორმატად უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული საკითხების განსახილველად რუსეთის ფედერაციასთან.

შეხვედრისას, დადებითად შეფასდა ის, რომ დემოკრატიული რეფორმების წარმატებით გასაგრძელებლად, საქართველო აგრძელებს აქტიურ თანამშრომლობას ეუთოს ინსტიტუტებთან.

# რა ხდება თავდაცვის სამინისტროში?

## კიდევ ერთი ტენდერი, რომელიც ეჭვს ბადებს

**მთავარ პროკურატურაში გამოძიება თავდაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებულ კიდევ ერთ ტენდერთან დაკავშირებით მიმდინარეობს. უწყება თავდაცვის სამინისტროსა და შპს „არქიტექტურულ ბიუროს“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებს სწავლობს. თავდაცვის სამინისტროს მიერ ამ ხელშეკრულებებსაც გრიფით „საიდუმლო“ ადევს.**

„საქართველოს მთავარი პროკურატურა აწარმოებს გამოძიებას შპს „არქიტექტურულ ბიუროსა“ და თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მიერ სახელმწიფოს კუთვნილი თანხების გაფლანგვის ფაქტზე. შპს „არქიტექტურულ ბიუროსთან“ გაფორმებულ შესყიდვის ხელშეკრულებებს გრიფით „საიდუმლო“ მინიჭებული აქვს თავად თავდაცვის სამინისტროს მიერ. გამოძიება სწავლობს აღნიშნულ საწარმოსთან უწყების მიერ განხორციელებული შესყიდვების კანონიერების საკითხს, იკვეთება შპს „არქიტექტუტულ ბიუროსა“ და თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებს შორის ახლო კავშირები და პირადი კონტაქტები“, – აცხადებენ პროკურატურაში.

შპს „არქიტექტურულმა ბიურომ“ ჩატარებულ ტენდერში თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე არსებულ არასაცხოვრებელ კორპუსზე რეკონსტრუქციების ჩატარების, კაპიტალური რემონტისა და უწყებისთვის საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენის უფლება მოიპოვა.

## როგორ მოიწამლნენ ჯარისკაცები

**საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტზე თავდაცვის სამინისტროს რამდენიმე თანამშრომელს ბრალი წარუდგინა. აღნიშნულთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება პროკურატურაში გუშინ გაკეთდა. უწყების ინფორმაციით, შეიარაღებული ძალების რიგ სასადილოებში ანტისანიტარიული მდგომარეობა იყო.**

„საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად გამოვლენილ იქნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოქმედი თანამდებობის პირები და სამხედრო მოსამსახურეთა კვებითი უზრუნველყოფის განმახორციელებელი შპს „ქართული კვების კომპანიის“ მენეჯერები, რომელთა გულგრილობის შედეგად ადგილი ჰქონდა სამხედრო მოსამსახურეთა მასობრივ დაავადებას.

2013 წლის განმავლობაში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჯარისო ნაწილებში დაფიქსირდა სამხედრო მოსამსახურეთა დაავადების 10 შემთხვევა. მთლიანობაში საკვები პროდუქტებით მოიწამლა 858 სამხედრო მოსამსახურე, საიდანაც 90 სამხედრო, მძიმე მდგომარეობის გამო გადაყვანილ იქნა სამხედრო ჰოსპიტალში.

საჯარისო ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეების მასობრივი დაავადების ათივე შემთხვევასთან



დაკავშირებით, რასაც ადგილი ჰქონდა მეორე, მესამე, მეოთხე ქვეით და მეათე კადრირებულ ბრიგადებში, გამოძიება თავდაპირველად დაიწყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციამ. თუმცა, აღნიშნულმა უწყებამ არ ჩაატარა გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები, სამხედრო მოსამსახურეების სათანადო ლაბორატორიული კვლევები, სასადილოების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის ექსპერტიზები, რამაც მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი გამოძიებას.



აღნიშნულ მიზეზთა გამო, 2013 წლის 18 ოქტომბერს, სისხლის სამართლის საქმე, რომელიც შეეხებოდა სამხედრო მომსახურეების დაავადების ათივე შემთხვევას, გამოსაძიებლად გადაეცა საქართველოს მთავარ პროკურატურას, რათა საქმეზე მომხდარიყო სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების ჩატარება.

საქართველოს პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით და საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ:

საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის კვებით მომსახურებას ახორციელებდა შპს „ქართული კვების კომპანია“, რომლის დამფუძნებელი არის თავდაცვის სამინისტრო.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი მედეა ბეთაშვილი, საქართველოს შეიარაღებული ძალების მესამე ქვეითი ბრიგადის მთავარი ექიმი მიხეილ ბესტაევი, მეოთხე ქვეითი ბრიგადის სამედიცინო სამსახურის უფროსი ოთარ ჯეჯეია, მესამე ქვეითი ბრიგადის სასადილოს მენეჯერი აკაკი გიორგაძე, მეოთხე ქვეითი ბრიგადის სასადილოს მენეჯერი ლაშა გელოვანი და მეათე კადრირებული ბრიგადის სასადილოს მენეჯერი თორნიკე ხუბუა, აღნიშნულ თანამდებობებზე მუშაობის პერიოდში, გულგრილად ეკიდებოდნენ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას და მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო არ უზრუნველყოფდნენ დასახელებულ სასადილოებში სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის და კონტროლის განხორციელებას.

## ალასანიას კვლავ დაკავებულ მაღალჩინოსანთა უდანაშაულობა სჯერა

**თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს შეხვდა. შეხვედრის თემა უწყების თანამშრომლების დაკავების საქმე იყო. თავდაცვის მინისტრმა პარლამენტის თავმჯდომარეს აღნიშნულთან დაკავშირებით საკუთარი ხედვა გააცნო.**

ირაკლი ალასანიასა და დავით უსუფაშვილის შეხვედრა პარლამენტში გაიმართა.

ირაკლი ალასანიამ პრემიერთან, პარლამენტის თავმჯდომარესა და პრეზიდენტთან შეხვედრის სურვილი გერმანიიდან დაბრუნებისთანავე გამოთქვა. თავდაცვის მინისტრი მისი უწყების დაკავებულ მაღალჩინოსნებს უდანაშაულოდ მიიჩნევს.

⊙ კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

**● ვისაც გოჩა თევდორაძე არ გაუგონია, შეუძლია, ჩათვალოს, რომ საქართველოს შვილი არაა.**

**მან დღეს პარლამენტის ტრიბუნიდან მიმართა „სრულიად საქართველოს“ მოწოდებით, რომ სისტემა უნდა დაინგრეს!**

**კართაგენი დაანგრია და ახლა სისტემას მიადგა.**

**● „სახელმწიფოს მეთაურმა მარგველაშვილმაო“ – ტელევიზორში თქვეს ახლა.**

**ეეეჰ!..**

**„პრეზიდენტს“ კიდევ შეჩვეული ვიყავი როგორღაც...**

**● ირაკლი სესიაშვილს უხარია, რომ ირაკლი ალასანიას არ სჯერა და პირიქით, დარწმუნებულია, რომ მისი თანამშრომლები არიან უდანაშაულოები...**

**მეც მიკვირდა, ნეტავ რა მიხარია მთელი დღე-მეთქი.**

**მადლობა ირაკლის.**

**ფაქტობრივად – ორივეს.**




**● თურმე არიან სოციალურად დაცული და სოციალურად დაუცველი პენსიონერები და ამ ლოგიკით, სოციალურად დაცული და დაუცველი მინისტრები, პარლამენტარები, ბიზნესმენები... და ა.შ.-ც გვყავს ალბათ.**

**● ახლა ტელევიზიით უცხო მოყმე ვინმე აჩვენეს და ეკრანზე „ავთანდილი“ დაიწერა.**

**დღემდე, მხოლოდ სახელით, რამდენიმე ადამიანს იცნობდა საქართველო: შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი და სტეფანე.**

**და აჰა, ავთანდილიც გამოჩნდა.**

**ტარიელიღა გვინდა და გავბრწყინდებით კიდეც!**

**● ამ ჭკუამოკლე არსებამ, ნათია კობერიძემ, ის მაინც თუ იცის, სიტყვა „თვითმარქვია“ რას ნიშნავს? ან ის მაინც თუ იცის, რომ გაბრიელი არქიმანდრიტი იყო? ან ყველაფერი მოდელირებული რომ ჰგონია, ის მაინც თუ ესმის, რა არის ნამდვილი ინფორმაცია და რა გამოგონილი?**

**მსგავს შემთხვევაზე ნამდვილად იტყვიან, ვაი, ამის პატრონსო. მართლაც!**

**● პრეზიდენტებს ვეტოს დადება გლახათ აქვთ დაცდილიო, ღაღადებს ძველი მადაგასკარული სიბრძნე.**

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

⊙ ინფორმაცია

## რელიგიურ დაწესებულებებს გაზი უფასოდ მიეწოდებათ

**კომპანია „სოკარი“ საქართველოში ეკლესია-მონასტრებს გაზს უფასოდ მიაწვდის. საქართველოს საპატრიარქოსა და კომპანია „სოკარს“შორის ერთწლიანი თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის მიხედვითაც, საქართველოში არსებული ეკლესია-მონასტრები ბუნებრივ აირს უფასოდ მიიღებენ.**

**მემორანდუმის ხელმოწერას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე და კომპანია „სოკარის“ საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი მაჰირ მამედოვი დაესწრნენ. უშუალოდ ხელშეკრულებას პატრიარქის ქორეპისკოპოსმა იაკობმა და მაჰირ მამედოვმა მოაწერეს ხელი.**

**„მე მინდა, გამოვთქვა დიდი მადლობა იმ დახმარებისათვის, რასაც თქვენ აკეთებთ არა მარტო საქართველოს ეკლესიის, არამედ კათოლიკური ეკლესიის, მუსლიმებისა და სხვა რელიგიური ორგანიზაციების მიმართ. მათი სახელით მადლობას გიხდით. „სოკარი“ გვაძლევს საშუალებას, რელიგიური ორგანიზაციები უზრუნველყოფილი იყვნენ გაზით. მადლობელი ვართ და მომავალში იმედი გვაქვს, რომ ეს დახმარება გაგრძელდება“, – აღნიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.**

**ამასთან, შეხვედრაზე თავის მხრივ კომპანია „სოკარის“ საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორმა მაჰირ მამედოვმა მადლობა გადაუხადა პატრიარქს, რასაც ის აკეთებს საქართველოსათვის, საქართველოსა და აზერბაიჯანის მეგობრული ურთიერთობისათვის და აღნიშნა, რომ ამ საქმეში ისინი პატრიარქის გვერდით არიან.**

ქვათა ღაღადი

# ტაო-კლარჯეთის ზოგიერთ ტაძარსა და არტანუჯის ციხესიმაგრეს თურქებმა სახელები გადაარქვეს

**ისტორიული ტაო-კლარჯეთის ზოგიერთი ტაძრისა და ციხესიმაგრის წინ განთავსებული სამენოვანი წარწერები შეცვლილია. ეს წარწერები თურქეთში ჩასულ უცხოელ და ქართველ ტურისტებს არასწორ ინფორმაციას აწვდის. ამის შესახებ ცნობას „ინტერპრესნიუსი“ ავრცელებს.**

კერძოდ, დამახინჯებულია მე-10 საუკუნეში აშენებული ხახულის ღვთისმშობლის სახელობის მონასტრის ტოპონიმი. რატომღაც იგი ჰაჰოდ იხსენიება.

თურქეთში რატომღაც ხანძთის მონასტერს პორტას სახელით მოიხსენიებენ, იგი მე-9 საუკუნეში თავად წმინდა გრიგოლ ხანძთელმა დააარსა. ბილბორდზე მონასტრის შექმნის ისტორიაც არასწორად არის გადმოცემული. სინამდვილეში, პორტა სოფლის სახელწოდებაა, რომლის მახლობლადაც ხანძთის მონასტერი მდებარეობს.

საინფორმაციო ბილბორდზე ვახტანგ გორგასლის მიერ მე-5 საუკუნეში აშენებული არტანუჯის ციხის ტოპონიმიც შეცვლილია. მახლობლად მდებარე ვერცხლის საბადოების გამო იგი გევჰერნიკის ციხესიმაგრედ არის მოხსენიებული. არადა, თავის დროზე ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი ამბობდა, არტანუჯის ციხე წარმოადგენს იბერიის, აფხაზეთისა და მესხთა ქვეყნის გასაღებსო.

ძველი ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის გადმოცემით, როცა ვახტანგ მეფე კლარჯეთიდან ქართლში მიდიოდა, სოფელი უხილავს, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „არტანუჯს“ უწოდებდა. მეფეს მოსწონებია სოფლის სტრატეგიული მდებარეობა და ძუძუმტისთვის — არტავაზისათვის აქ ციხის აგება უბრძანებია. არტავაზმაც „აღაშენა ციხე არტანუჯისა“, რომელიც გახდა ერისთავთა რეზიდენცია და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძლიერი ცენტრი. 1921 წელს, საქართველოს ანექსიის შემდეგ, სსრკ-მა არტანუჯი თურქეთს გადასცა.

მე-10 საუკუნის ოშკის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძართან მხოლოდ ორენოვანი წარწერაა. თურქულ საინფორმაციო ბილბორდზე ტაძრის არქიტექტორად, ანუ მშენებლობის დამფინანსებლად პატრიკიოსი გაგიკია აღნიშნული. ინგლისურენოვან ბილბორდზე კი იგი პატრიარქ გაგიკად არის მოხსენიებული. რაც შეეხება ქართულენოვან საინფორმაციო ბილბორდს, ასეთი ბილბორდი ტაძარს არ გააჩნია. რეალურად კი, თურქების მიერ პატრიკიოს გაგიკად მონათლული პიროვნება ქართველი ერისმთავარი ჯოჯიკი გახლდათ.

მე-10 საუკუნის ოთხთა, ანუ ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიაც იმ ტაძართა შორისაა, რომელთა ქართული ტოპონიმი ბილბორდზე სწორად არ არის აღნიშნული. სამენოვან საინფორმაციო ბილბორდზე მითითებულია, რომ ის არის „თექალეს“ (ქართულად მარტოციხის) მონასტერი. ტაძრის ქართული ტოპონიმი „ოთხთა ეკლესია“, ანუ თურქულად „დორთა ქილისე“ კი ფრჩხილებშია ჩასმული.

პროფესორ თინა იველაშვილს ტაო-კლარჯეთში არსებული მსგავსი „უზუსტობა“ არ უკვირს. For.ge-სთან საუბარში იგი აცხადებს, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავია, რადგან მღვდელს, თუკი მას ანაფორა აცვია, ოფიციალურად სარფის საბაჟოზე გავლა უჭირს. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ ქართულ ძეგლებს თურქებმა რესტავრაცია ჩაუტარეს, რეალური ზრახვა სხვა არის, მიმდინარეობს საქართველოს ჩუმი ისლამიზაცია და ეს ყველაფერი გარედან ფინანსდება.

**„მე-10 საუკუნის ოთხთა ეკლესიის აღსანიშნავად რატომ უნდა გამოიყენონ თურქული წარწერა „დორთა ქილისე“ და რატომ ოთხთა არ უნდა ეწეროს? „დორთა ქილისე“ თურქულად ნიშნავს ოთხ ეკლესიას, ქართულად კი ოთხთა ჰქვია. არტანუჯის სახელიც გადაკეთებულია, კერძოდ, ყოფილ არტაანის ციხეში დღეს უკვე ყველას არ უშვებენ. იქ სამხედრო გარნიზონი დგას და თურქულ დროშას აფრიალებენ. ტაო-კლარჯეთის მთელი სოფლები რომ გაიაროთ, მათ თურქული სახელები აქვთ, ქართული ტოპონიმიკა წაშალეს და გადაარქვეს. ხანძთის ნაცვლად პორტას სახელი არ არის გამართლებული. ეს ადგილი მე რომ მოვინახულე, მაშინ ხანძთა ეწერა. 2000 წლიდან ხშირად ჩავდიოდი ხანძთაში. მართალია, წარწერები თურქული იყო, მაგრამ ქართული ტერმინოლოგია იყო შენარჩუნებული“,** — აღნიშნა თინა იველაშვილმა.

რაც შეეხება იოანე ნათლისმცემლის სახელობის მე-10 საუკუნის ოშკის ტაძარს, პროფესორმა განმარტა, რომ თურქულ საინფორმაციო ბილბორდზე ამ ტაძრის ქტიტორად პატრიკიოს გაგიკის მოხსენიება (ერისმთავარ ჯოჯიკის ნაცვლად) ადასტურებს, რომ თურქებს აწყობთ თავიანთი მოძულე სომეხი გაგიკი მოიხსენიონ ტაძრის მაშენებლად, ვიდრე ქართველი ჯოჯიკი.

**„თურქეთში კუთხეც არ გვაქვს, სანთელი რომ დავანთოთ. მაშინვე თურქული ჟანდარმერია დაგვადგება. გადავხედოთ, სამხრეთ საქართველოში რაც ხდება, თუნდაც მოხეს ამბები გავიხსენოთ, ან კიდევ — ჭელას ამბები. ეს ამ ყველაფრის გაგრძელებაა“,** — მიიჩნევს თინა იველაშვილი.

არმენოლოგი, პროფესორი ბონდო არველაძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ, ცხადია, თურქებთან მტრობას მეგობრობა სჯობს, მაგრამ მეგობრობა უნდა იყოს ორმხრივი, მით უფრო, რომ ბოლო წლებში 300-ზე მეტი მეჩეთი აშენდა საქართველოში.

**„იშხანი რომ განახლდა, კარგია, მაგრამ ბილბორდები რეალობას უნდა ასახავდეს, მათ შორის, ქართულადაც უნდა იყოს წარწერები. ჩვენი მთავრობა უნდა ჩაერიოს ამაში. თორემ მოვლენები თუ ასე მივუშვით, განმეორდება ის, რაც ადრეც იყო. თურქები ადრიდანვე უცვლიდნენ ჩვენს ძეგლებს სახელწოდებებს. 1453 წელს კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ თურქები გაბატონდნენ, მე-16 საუკუნეში ტაო-კლარჯეთი და დასავლეთ საქართველო დედასამშობლოს მოწყვიტეს, ამ მხარეს გამუსლიმანება დაუწყეს. პარალელურად ხდებოდა ქართული ეკლესიების, მდინარეების, სოფლების ტოპონიმთა შეცვლა. მოგვიანები ამ მხარეს სამცხე-საათაბაგო დაერქვა“,** — აცხადებს ბონდო არველაძე.

ისტორიკოსი მთვარისა თარხნიშვილი, რომელიც ცოტა ხნის წინ შიშობდა, რომ ტაო-კლარჯეთში ძველი ტოპონიმის დაკარგვის ცუდი ტენდენცია მიმდინარეობდა და, ფაქტობრივად, არც ერთი ტაძრის ბილბორდზე სრული სინამდვილე არ ეწერა, დღეს უკვე კომენტარისგან თავს იკავებს.

For.ge-სთან საუბარში იგი აცხადებს, რომ ყველაფერი მალე გამოსწორდება და საქართველოს ელჩი თურქეთში ამ საქმეში ჩაერევა.

**მანანა ნოზაძე**



„ლაგუნა — ვერე“



# 35 წელიწადს მინუს ერთი: „დავაკაკუნეთ, გაგვეღება?“

საცურაო კომპლექსის **„ლაგუნა ვერეს“დირექტორი ვლადიმერ გოიაშვილი** ჯერ კიდევ 2011 წელს გამოცემულ თავის წიგნში **„კუპალნიიდან“ — „ლაგუნა ვერემდე“** წერდა:

**„აუზი ცოცხალი ორგანიზმივითაა. ბერდება. ამიტომ უნდა ვუწამლოთ მანამდე, სანამ მიხრწნილობის გამო მისი მკურნალობა შეუძლებელი იქნება. ეს ერთი მხარეა. მეორე, ეგებ, უფრო მნიშვნელოვანი, არის მისი ტექნიკური აღჭურვა, ახალი მანქანა-დანადგარებით ძველის შეცვლა, გათანამედროვება მთელი ამ უზარმაზარი კომპლექსის, რათა იგი სრულად შეესაბამებოდეს საწყლოსნო სპორტის განვითარების დღევანდელ დონეს“. და შემდეგ: „მე ვერ მოვატყუებ ბატონ ბიძინა ივანიშვილს და ვერ დავაყენებ ფაქტის წინაშე, როცა პრობლემა კარზე მოგვიკაკუნებს“.**

აქვე განვმარტავ: **სწორედ ბატონ ბიძინა ივანიშვილის წყალობით გადარჩა თავის დროზე „ლაგუნა ვერეს“ სპორტკომპლექსი, რომლის იავარქმნაზეც იყვნენ დაგეშილები ველური კაპიტალიზმის „მოღვაწენი“, ჩვენი თანამემამულენი, რომლებიც აპირებდნენ მისი ტერიტორიის ხელში ჩაგდებას და ისეთი სასტუმროს აშენებას, რომელიც დიდ მოგებას მოუტანდა.**

ხალხის, ამ შემთხვევაში, თბილისელების ჯანმრთელობის პრობლემები, ისევე, როგორც ქართული სპორტის განვითარების პერსპექტივა, ფულს დახარბებულ ამ გაქსუებულ „ახალ ქართველებს“, რაღა თქმა უნდა, არ აწუხებდა. ამათი ბუნება „იწრო არს“...

ეს წიაღსვლა **„ლაგუნა ვერეს“** უახლეს ისტორიაში მხოლოდ იმიტომ გახდა საჭირო, რომ მკითხველებს უფრო ნათლად წარმოედგინათ ის კატასტროფული მდგომარეობა, რომელშიც სპორტული კომპლექსი აღმოჩნდა. თბილისის ეს ტრადიციული ადგილი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ეს კერა ზუსტად იმ პრობლემის წინაშე დადგა, რომლის შესაძლებლობაზეც ვლადიმერ გოიაშვილი ლაპარაკობდა სამი წლის წინათ და რომლის გადაწყვეტისთვის პრაქტიკული ნაბიჯი არ გადაუდგამს კომპლექსის მფლობელს. მიუხედავად იმისა, რომ „ლაგუნას“ დირექტორმა არაერთხელ მიმართა მას ამ სატკივარის გამო.

წელიწადი სრულდება, რაც **„ლაგუნა ვერე“** არ ფუნქციონირებს. **გასულ კვირაში 35 წელი შესრულდა მისი დაარსებიდან. ეს ბოლო 12 თვე ერთადერთი პერიოდია, სამწუხარო გამონაკლისია კომპლექსის 35-წლიან ისტორიაში. არც საბჭოთა კავშირის რღვევის უმძიმეს წლებში, არც საყოველთაო განუკითხაობის ჟამს, რომელმაც 90-იან წლებში განსაკუთრებით არია ქვეყანა, არც სამოქალაქო ომის წლებში არ შეწყვეტილა „ლაგუნას“ მუშაობა.** არც ბოლო 9 წლის განმავლობაში, როცა კომპლექსის ხელმძღვანელობამ საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად შეძლო, თბილისელებისთვის უზრუნველეყო ამ უნიკალური კომპლექსის სიკეთით სარგებლობა. **რაღა მაინცდამაინც ახლა დატრიალდა უკუღმა მისი ბედის ბორბალი?!**

**უსახსრობის პრობლემა, ალბათ, არ დგას, რადგან, ერთხელ დაითვალეს და აღმოჩნდა, რომ, მართალია, ეს ადგილი შემოსავლიანი არ არის და მფლობელს ვერ გაამდიდრებს, მაგრამ ორგანიზაციული ხელშეწყობის შემთხვევაში სრულად შეძლებს საკუთარი თავის შენახვას. არსებობის პერიოდში ამ ორგანიზაციამ 10 მილიონ ლარზე მეტი შეიტანა ბიუჯეტში.**

**რახან ანგარიშზე მიდგა საქმე, ისიც ვთქვათ, რომ მილიონამდე ბავშვმა შეისწავლა „ლაგუნას“ აუზებში ცურვა; როგორც ბატონი ვოვა ამბობს, „10 მილიონზე მეტმა დამსწრემ პატივი დაგვდო და სისტემატურად ისარგებლა ჩვენი აუზით“.**

დღეს **„ლაგუნა ვერეს“** კარები თბილისელებისთვის დაგმანულია... არადა, **სწორედ იქაურობა იყო ერთადერთი ადგილი, სადაც ხელმოკლე ჩვენს თანამოქალაქეებს შეეძლოთ თავისუფლად შესვლა.**

თბილისში არაერთი საცურაო აუზი ფუნქციონირებს, მაგრამ იქ მოხვედრას **„ლაგუნა ვერეს“** ყოფილი კონტინგენტი ვერ ახერხებს, ხელი არ მიუწვდება.

მესამე წელიწადი, რომელიც დაპირებისამებრ უკეთესი უნდა ყოფილიყო ჩვენთვის, ხალხისთვის, იმედის გაცრუებით არ მინდა დაიწყოს. ჩვენ ხალხს მცირეოდენი სიკეთეც ყოფნის — მადლობელიც იქნება და შთამომავლობასაც დაუტოვებს სიკეთის მქნელის სახელს. სოფლებში დღესაც არის უამრავი წყარო, რომელთა სათავისთვის ხელი შეუვლია ვინმე მადლიანს და ხალხსაც იმ კაცის სახელი დაურქმევია. ასეთია ჩვენი ბუნება და ღმერთმა ნუ მოგვიშალოს!

**თქვენც ხომ მეთანხმებით, ბატონო ბიძინა?**

**არმაზ სანებლიძე.**

**რუსეთში არსებულ ვითარებაზე, თუ რა რეაქცია ექნება მოსკოვს სოხუმის მიერ კორექტირებულ დოკუმენტზე, რომლითაც რუსეთსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის ურთიერთობები უნდა განისაზღვროს, ასევე იმაზე, თუ რა პოლიტიკას ატარებს რუსეთი საქართველოს მიმართ და რას შეიძლება ნიშნავდეს ამ ეტაპზე მოსკოვის განცხადება, რომ საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრაზე საუბარი ნაადრევია, „ინტერპრესნიუსი“ რუს პოლიტოლოგს დიმიტრი ორეშკინს ესაუბრა.**



## დიმიტრი ორეშკინი:

# რუსეთის პოლიტიკა პრაგმატული და ცინიკურია

**– ბატონო დიმიტრი, როგორ დაახასიათებდით რუსეთში არსებულ ვითარებას იმის ფონზე, რომ უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაცივდა?**

– ჩემი აზრით, რუსეთი კანონზომიერად უბრუნდება საბჭოთა სისტემის პრიორიტეტებს. ადამიანების კორპორაციული ჯგუფი, რომელთა ხელშია რუსეთში ძალაუფლება, ძალაუფლებას განიხილავს თავის მთავარ ღირებულებად და იყენებს საკუთარი პოზიციების გასაძლიერებლად. ამის შედეგად დეგრადირებულია საჯარო ინსტიტუტები. პოლიტიკური ორგანოების არჩევითი სისტემა პრაქტიკულად არ არსებობს, ისევე როგორც არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო და მედია.

მეორე მხრივ, ხდება მოსახლეობის გართობა და ყურადღების გადატანა პათოსური პროექტებით, რომლის არსი ასეთია – დიახ, ჩვენ ახლა გვიჭირს, მაგრამ ჩვენ ახლა უნდა გავერთიანდეთ ქვეყნის ხელმძღვანელობის ირგვლივ, რომ მომავალში შევძლოთ გამორჩეული მიზნების მიღწევა. ადრე ამგვარი მომავლის ფუნქციას ასრულებდა კომუნისტური იდეოლოგია, ახლა ამ მითოლოგიური მომავლის ფუნქციას „რუსული სამყაროს“ იდეა ასრულებს. კორპორაციას, რომელიც ხელისუფლებაშია, ესმის, რომ სიტუაცია ობიექტურად უარესდება და საზოგადოებას უნდა მიეწოდოს სიმართლეს მიმსგავსებული ახსნა, თუ რატომ ხდება ასე. მათი ახსნა კი ასეთია – ქვეყანა მტრების გარემოცვაშია, ჩვენ თავს ვიცავთ. სხვის ტერიტორიაზე თავის დაცვა საბჭოთა ტრადიციაში იყო და ჩვენც მას მივდევთ.

**– „ეხო მასკვის“ 29 ოქტომბრის ეთერში მოვუსმინე გადაცემას „სვაიმი გლაზამი“, რომელშიც რუსეთის მოქალაქემ სერგეი ლოიკომ, რომელიც ამჟამად ამერიკულ „ლოს ანჟელ ტაიმსში“ მუშაობს და ოლეგ ოლევსკიმ, რომელიც ერთდროულად ტელეკომპანია „დოჟდსა“ და „ეხო მასკვიში“ მუშაობს, აღწერეს ის სურათი, რაც ახლა დონეცკის აეროპორტისათვის ბრძოლებში უკრაინულ და რუსულ შენაერთებს შორის ხდება. ჟურნალისტების მონათხრობში კარგად ჩანს „რუსულ სამყაროში“ არსებული დაპირისპირება. მეტიც, უკრაინულ სამხედრო ძალებში რუსეთის არმიის წინააღმდეგ უკრაინის მოქალაქე ეროვნებით რუსი არა მარტო შუახნის ოფიცრები, არამედ ახალგაზრდები იბრძვიან. მათი მტკიცებით, უკრაინელებისთვის დონეცკის აეროპორტი ერთგვარ სტალინგრადად იქცა, რომლისთვის ბრძოლა უკრაინის მოქალაქეებისთვის პიროვნული და მოქალაქეობრივი ღირსების საქმეა. სატრანსპორტო ობიექტისთვის ასეთი გააფთრებული ბრძოლა, თურმე, იმას უკავშირდება, რომ აეროპორტი ქალაქ დონეცკს ებმის და თუ თვითგამოცხადებულ დონეცკის რესპუბლიკას მასზე კონტროლი არ ექნება, კიევის ოპონენტებს გაუჭირდებათ იმის თქმა, რომ დონეცკი სეპარატისტების ხელშია. თქვენი აზრით, სავარაუდოდ, რა ნაბიჯებს გადადგამს კრემლი უკრაინის მიმართულებაზე?**

– „რუსულ სამყაროში“ განხეთქილება ისეთივე ტიპისაა, როგორც საბჭოთა პერიოდში. როცა რუსული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი ემიგრაციაში იყო გადახვეწილი, დაწყებული ბუნინ-ნაბოკოვით და ვარიკინითა და სოკორსკით დამთავრებული. ანუ, კორპორატიულმა ჯგუფმა, რომელმაც ხელში ჩაიგდო ძალაუფლება, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებიდან საზღვარგარეთ განდევნა გამორჩეული პიროვნებები, რომლებშიც კონკურენტებს ხედავდა და, რითაც სერიოზულად დააზარალა „რუსული სამყარო“. ახლაც ანალოგიური რამ ხდება. მოსახლეობის 15%-ს, რომელიც სხვაზე მეტადაა განათლებული, კარგად ესმის, თუ რა ხდება ქვეყანაში, სწორედ ისინი ცხადდებიან მე-5 კოლონად და სხვა ქვეყნების აგენტებად.

რაც შეეხება უკრაინას. კრემლის მოქმედება უკრაინაში ბევრწილად უკავშირდება ქვეყნის შიგნით არსებულ ვითარებას. რაც უკრაინაში ხდება, შეიძლება ერთი სიტყვით დახასიათდეს – ბლეფი. თავიდანვე ცხადი იყო, რომ „ნოვოროსიის“ იდეა ბლეფი იყო.

შესაძლოა, კრემლის სტრატეგებს გულწრფელად სჯეროდათ, რომ უკრაინის 8 ოლქის მცხოვრებლები სიხარულით შეხვდებოდნენ რუს განმათავისუფლებლებს. საკმარისი იქნებოდა მოხალისეებისთვის იარაღის მიწოდება, რომ უკრაინის ნაწილი რუსეთს მიუერთდებოდა. მაგრამ, ასე არ გამოვიდა, ვინაიდან „ნოვარასია“ ისეთივე მითი გახლდათ, როგორც თავის დროზე ამბობდნენ – საბჭოთა ხალხი არის ადამიანების ახალი ისტორიული ერთობაო. დონბასში არსებობენ კონკრეტული ადამიანები, რომლებსაც უნდოდათ ცხოვრება რუსეთში, მაგრამ უმეტესობას უნდოდა, ეცხოვრა უკრაინაში.

ჩემი აზრით, რუსეთი არ არის მზად, უკრაინაში დაიწყოს ქვეყნის სერიოზული ექსპანსია. ამისთვის არც სამხედრო, არც ეკონომიკური და არც პოლიტიკური რესურსი არ გააჩნია. გათვლა იყო გაკეთებული იმაზე, რომ რუსული ტანკები უკრაინაში ადგილობრივი მოსახლეობის აპლოდისმენტების ფონზე გაისეირნებდნენ. უკრაინის მოქალაქეები „განმათავისუფლებლებს“ სიხარულით არ შეხვდრიან. მიუხედავად იმისა, რომ იანუკოვიჩის პრეზიდენტობის დროს უკრაინული არმია პრაქტიკულად დანგრეული იყო, რუსულ ავანტიურას უკრაინაში სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდა. საქმეს არც იმან უშველა, რომ რუსეთს უკრაინის ყველა ძალოვან უწყებაში ჰყავდა ჩანერგილი თავისი ხალხი. რუსეთი საერთაშორისო იზოლაციაში მოექცა და მის წინააღმდეგ სერიოზული სანქციები დაწესდა.

ახლა პრაქტიკულად ასეთი ვითარებაა – კრემლს უკრაინაში წინ წასვლა და მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა არ შეუძლია. ერთადერთი, რაც აქვს დარჩენილი, ეს აგრესიული რიტორიკის დემონსტრირებაა. ყველა ეს განცხადება ბლეფი და პროვოკაციაა. პროვოკაციის გარდა, სხვას ვერაფერს დაარქმევ რუსული სამხედრო თვითმფრინავების მეზობლების საჰაერო სივრცესთან ახლოს გამოჩენას. შესაძლოა, მათი მიზანიც ის იყო, რომ მეზობლებს რუსული თვითმფრინავების გამოჩენაზე სერიოზულად ეპასუხათ, რაც ხელისუფლებას მოსახლეობის წინაშე თავის მართლების საშუალებას მისცემდა. ანუ, ომია, გვებრძვიან და ამ დროს ეკონომიკურ პრობლემებსა და რუბლის ვარდნაზე საუბრის დრო არ არის.

**– სულ უფრო ცხადი ხდება, რომ დასავლეთს არც სურვილი აქვს და არც მზად არის, დაუპირისპირდეს რუსეთს. პუტინის მიერ სოჭში, „ვალდაის კლუბის“ ფარგლებში გაკეთებული განცხადებებით ისიც ცხადი გახდა, რომ იგი მსოფლიოს ბირთვული იარაღის არსებობით აშანტაჟებს. მეტიც, პუტინი ცდილობს, კორექტივები შეიტანოს „ცივი ომის“ შედეგებში და მსოფლიოში ახალი წესრიგი დამყარდეს. ყოველ შემთხვევაში, საერთაშორისო არენაზე და პოსტსაბჭოთა სივრცეში კრემლის ქმედებები სხვაგვარად არ იკითხება...**

– ეს სუფთა წყლის ბლეფია. ჩემი აზრით, ალბათ იმიტომაცაა, რომ დასავლეთი ასე თავშეკავებულად და მშვიდად რეაგირებს პუტინის განცხადებებზე. დასავლეთი გვიან, მაგრამ მაინც მიხვდა, რომ მათ პუტინის ხმაურიან განცხადებებზე ისეთივე რეაქცია უნდა ჰქონდეთ, როგორც ჟირინოვსკის განცხადებებზე იმის შესახებ, რომ რუსი ჯარისკაცები ფეხებს ინდოეთის ოკეანეში დაიბანდნენ.

დასავლელმა ანალიტიკოსებმა შესანიშნავად იციან, რომ რუსეთს არა აქვს სამხედრო რესურსი, დაუპირისპირდეს დასავლეთს, დასავლეთისა და რუსეთის ეკონომიკური რესურსების შედარებაც კი არ შეიძლება, ვინაიდან პირობით დასავლეთთან რუსეთის ეკონომიკური შესაძლებლობები იმაზე ბევრად ნაკლებია, ვიდრე უნდა იყოს.

ამიტომ, პრეზიდენტ პუტინს შეუძლია, ბუფეტში იმდენი ისეირნოს, რამდენიც თავად მოესურვება და აპლოდისმენტები შეაგროვოს ქვეყნის შიგნით. ქვეყნის შიგნით ადამიანები ერთმანეთში საუბრისას აღფრთოვანებული საუბრობენ იმაზე, რომ პუტინი ქვეყნის ინტერესებს იცავს. სინამდვილეში კი, საპირისპირო რამ ხდება. რუბლი ეცემა, ქვეყნიდან კაპიტალი გარბის. ყველაზე მეტად განათლებული და ენერგიული მოქალაქეები ქვეყანას ტოვებენ. პუტინის ხმამაღალი და ხმაურიანი რიტორიკის ფონზე რუსეთი ჭაობში ეფლობა. ვინც საკუთარი გონებით ფიქრობს და ტელევიზორს არ უჯერებს, მათ ეს ესმით. სამწუხაროდ, უმრავლესობას მაინც ტელევიზორში ნათქვამის სჯერა. ამიტომ, პუტინის განცხადებების ადრესატი სწორედ ისინი არიან.

ასედაც შეიძლება ითქვას – პუტინის განცხადებები კეთდება იმათთვის, ვინც შეიძლება შეაშინოს სიმართლემ და იმის გაგებამ, თუ რა დღეშია ქვეყანა. ამიტომაცაა, რომ ახლა პუტინს მხოლოდ ასეთი რიტორიკა რომ აქვს. ეს დასავლეთში კარგად ესმით. ახლა რუსეთისაგან ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ პუტინი ისეთი სულელი არაა, რომ საქმე ბირთვულ ომამდე მიიყვანოს. მას შეუძლია ბირთვული ომის დაწყების ზღვარზე სიამოვნებით ისეირნოს, მაგრამ ბირთვულ ომს არ დაიწყებს.

**– ევროკავშირი რუსეთს კვლავ ეკონომიკური სანქციების გამკაცრებით ემუქრება, თუ მოსკოვი ე.წ. დონეცკისა და ლუგანსკის რესპუბლიკებში დაგეგმილ რეფერენდუმს დამოუკიდებლობაზე და არჩევნების შედეგებს აღიარებს. იმ სურათის გათვალისწინებით, რომელიც თქვენ აღწერეთ, პუტინი გაითვალისწინებს თუ არა ბრიუსელის გაფრთხილებას?**

– ჩემი აზრით, არ გაითვალისწინებს. მან იცის, რომ რეფერენდუმისა, თუ არჩევნების შედეგების აღიარება არ გახლავთ დონეცკისა და ლუგანსკის რესპუბლიკების აღიარება. ეს გახლავთ დემოკრატიულ თვითგამორკვევაზე ხალხის ნების აღიარება. ამ ნაბიჯით საკმაოდ ძნელია, იურიდიულად დაუმტკიცო რუსეთს სხვა ქვეყნის საქმეში ჩარევა. ამიტომ ვამბობ, კრემლი არჩევნებს აღიარებს და ევროპაც არაფერს არ გააკეთებს. იმისათვის რომ ევროპამ რუსეთს კიდევ ახალი სანქციები დაუწესოს, მას ძალიან სერიოზული სტიმულები დასჭირდება. სანქციების გამო ევროპაც ზარალდება, მართალია იმდენად არა, როგორც რუსეთი, მაგრამ მაინც ზარალდება. ამიტომაცაა, რომ პუტინი სადიზმს დოზირებულად იყენებს. იგი არჩევნების შედეგებს აღიარებს, მაგრამ მათ დამოუკიდებლობას არ აღიარებს.

**– თქვენი აზრით, კიდევ რამდენ ხანს გააგრძელებს კრემლი უკრაინაში იმ პოლიტიკას, რომელსაც რუსეთი ატარებს?**

– ეს პოლიტიკა იმდენ ხანს გაგრძელდება, რამდენ ხანსაც პუტინი და მისი კორპორაცია რუსეთის ხელისუფლებაში იქნებიან. 2-3 წელიწადში არჩევნებია ჩასატარებელი. ხელისუფლება იძულებული იქნება, არჩევნები გადადოს, ან სხვა ახალ ავანტიურაზე წავიდეს. ხალხს არ უყვარს დეპუტატები, მაგრამ უყვარს პუტინი, ამიტომ ისინი სათათბიროს არჩევნების გადავადებას იოლად გადაიტანენ. 2018 წელს კი საპრეზიდენტო არჩევნებია ჩასატარებელი. მანამდე, რაღაც სერიოზული უნდა მოხდეს. ან პატარა გამარჯვებით დამთავრებული ომი იქნება დასაწყები, ან ქვეყანაში სამხედრო მდგომარეობა იქნება შემოსაღები. ალბათ უახლოეს 2-3, მაქსიმუმ 4 წელიწადში რუსეთში რაღაც შეიცვლება, ოღონდ უარესობისკენ.

**– რუს ექსპერტთა ნაწილი არ გამორიცხავს რომ 2-3 წელიწადში რუსეთის ფედერაცია სსრკ-ს ბედს გაიზიარებს და დაიშლება. თქვენც ფიქრობთ, რომ ამგვარი ალბათობა დიდია?**

– ჩემი აზრით, ეს გარდაუვალია. ეს არ გახლავთ მომხდარი პროცესების გამეორება, ეს გახლავთ დაწყებული პროცესის გაგრძელება. საქმე ის არის, რომ სსრკ იმართებოდა ერთი ცენტრიდან. ობიექტური რეალობა, ეკონომიკის განვითარება და პოლიტიკური პროცესების ლოგიკა ითხოვს რეგიონის ხელისუფლებაში იყოს ხალხი, ვინც ამას ხელს შეუწყობდა. ცენტრს სულ უფრო და უფრო მეტი უფლებამოსილებები მიაქვს. ტერიტორიებს აქვთ პრობლემები, რომლებსაც ვერც ცენტრი და ვერც ადგილობრივი ხელისუფლება ვერ აგვარებს. ასე იყო სსრკ-ს დაშლის დროსაც და ასეა ახლაც.

ეს პროცესი სულ უფრო გარდაუვალი ხდება. კარგი იქნებოდა, რომ პროცესები ისე განვითარებულიყო, როგორც ჩეხეთსა და სლოვაკეთს შორის, მაგრამ ძალიან ცუდი იქნება, თუ ეს პროცესი სამოქალაქო ომის შედეგად მოხდება. უკრაინაში კრემლი სამოქალაქო დაპირისპირებისა და ომის გზას დაადგა. როგორადაც არ უნდა დასრულდეს პროცესები უკრაინაში, რუსეთში დროთა განმავლობაში პატრიოტული მუხტი ჩაცხრება და წინა პლანზე მოსახლეობის ეკონომიკური პრობლემები წამოიწევს. არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ ეკონომიკური პრობლემები აღმოჩნდეს რუსეთის დაშლა- დაქუცმაცების მთავარი მიზეზი.

**– ასეთ ვითარებაში როგორ დაახასიათებდით კრემლის პოლიტიკას საქართველოს მიმართ? ვგულისხმობს იმას, რომ კრემლს დაწყებული აქვს მოლაპარაკებები სოხუმთან და ცხინვალთან ინტეგრაციული პროცესებისა და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებების ხელმოწერაზე. პარალელურად, ოფიციალური რუსეთის წარმომადგენლები ახმოვანებენ წინადადებებს დაღესტნიდან კახეთის გავლით სომხეთთან დამაკავშირებელი გზისა და აფხაზეთის მონაკვეთზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის თაობაზე...**

– ჩემი აზრით, აქ კრემლი პრაგმატულობას ავლენს. გართულებულ ვითარებაში პრობლემურ ტერიტორიებს უფრო მეტად ახასიათებთ გამოყოფა, ვიდრე გაერთიანება. პირველ მსოფლიო ომამდე ევროპაში 15 სახელმწიფო იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 30-ზე მეტი, ახლა კი 50-ზე მეტი სახელმწიფოა. ამიტომაც ვფიქრობ, რომ აფხაზეთის უკან დაბრუნების ლოზუნგი კარგია ქართველი პოლიტიკოსებისთვის, მაგრამ ნაკლებად რეალიზებადია უახლოეს პერსპეტივაში. ეს იმ ტენდენციების საწინააღმდეგო ლოგიკა იქნებოდა, რაც ამჟამად ევროპაშია. ეს ასეა, რაც არ უნდა ილაპარაკონ ქართველმა პოლიტიკოსებმა.

ჩემი აზრით, აფხაზეთთან მიმართებაში კრემლის აზრი ასეთია - ასეა თუ ისე, აფხაზეთი რუსეთის გავლენის ქვეშ გადასულია და ქართველ პოლიტიკოსებს მისი დაბრუნების შანსები არა აქვთ. მიუხედავად ამისა, რუსეთისთვის და საქართველოსთვის ცუდი არ იქნებოდა, თუ იმუშავებდა ტრანსკავკასიური მაგისტრალი. იმედი მაქვს, რომ ქართველი პოლიტიკოსები ამაში თავად დარწმუნდებიან. რამდენადაც ვხდები, რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ პრაგმატული და ცინიკურია. მე რუსეთის მოქალაქე ვარ და უფრო რუსეთის ტერიტორიების ბედი მაღელვებს. სამწუხაროდ, პერსპექტივაში რუსეთს ისეთივე ბედი ელის, როგორც საქართველოს. საქართველო დღეს სამ ნაწილადაა გაყოფილი. თუ რამდენ ნაწილად დაიშლება რუსეთი, ამას უახლოესი ათწლეული გვიჩვენებს.

**– აფხაზურმა პარლამენტმა დე ფაქტო პრეზიდენტს აფხაზეთის რუსეთთან თანამშრომლობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმების საკუთარი ვერსია შეიმუშავა. ჯერ უცნობია საბოლოოდ შეთანხმების რა ვარიანტს შესთავაზებს სოხუმი მოსკოვს, მაგრამ თქვენი აზრით, კრემლი სოხუმთან მიმართებაში პოზიციებს დათმობს თუ, სავარაუდოდ, როგორ განვითარდება პროცესები?**

– ჩემი აზრით, უკრაინის ნეგატიური გამოცდილების გამო კრემლი აფხაზეთთან მიმართებაში მეტ სიფრთხილეს გამოიჩენს. იმის გათვალისწინებით, რომ კავკასიურ მიმართულებას სურკოვი ხელმძღვანელობს, ვფიქრობ, რომ რუსეთი აფხაზეთთან მიმართებაში სიფრთხილეს ნამდვილად გამოიჩენს. ახლა ძნელია იმის თქმა, თუ რა სახის დათმობებზე წავა კრემლი სოხუმთან, მაგრამ კიდეც რომ წავიდეს, მე არ გამიკვირდებოდა. მოსკოვმა უკვე იწვნია ის, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მკაცრ ზომებსა და უხეშ მოძრაობებს. პუტინი ხედავს, რომ უკრაინაში ძალის გამოყენებამ უკუშედეგი გამოიღო. ამიტომაც ვფიქრობ, რომ იგი შეეცდება, კავკასიაში არ გაიმეოროს უკრაინაში დაშვებული შეცდომები.

**– საქართველოს პრეზიდენტმა მარგველაშვილმა გამოთქვა მზადყოფნა, შეხვდეს რუსეთის პრეზიდენტ პუტინს, თუ ის ქართულ მხარეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თემებზე ესაუბრება. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა კი განაცხადა – „ამგვარ შეხვედრაზე საუბარი ნაადრევია“. თქვენ როგორ შეაფასებდით კარასინის განცხადებას და რას შეიძლება იგი ნიშნავდეს?**

– მოსკოვში იმედოვნებენ, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხებში ოფიციალური თბილისის პოზიცია უფრო რბილი იქნება. ეს იმასაც ნიშნავს, რომ კულისებში საქართველოზე ზეწოლა მიმდინარეობს. ეს შესაძლოა, იმასაც უკავშირდება, რომ საქართველო და რუსეთი ფორმალურად თანასწორი არიან, მაგრამ მაინც სხვადასხვა წონითი კატეგორიების არიან.

თუ ქართულ ეკონომიკას არ შეუძლია, სულ უფრო მეტად იყოს დამოკიდებული რუსეთზე და მეტად ზარალდება რუსეთისგან იზოლაციით, ვიდრე რუსეთი, მაშინ რუსეთის დიდ ეკონომიკას და რუსეთს შეუძლია, თავს უფლება მისცეს, თბილისთან მიმართებაში უფრო ხისტად იმოქმედოს. ამიტომ, რუსეთი იმ დროს დაელოდება, როცა კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებით ოფიციალური თბილისის პოზიცია უფრო რბილი იქნება. არა მარტო ელოდება, არამედ ზეწოლაც განახორციელოს საქართველოზე და ამის შედეგ იქნება მზად, იფიქროს პრეზიდენტების შეხვედრის ორგანიზებაზე.

**კობა ბენდელიანი**

◉ კონფერენცია



# როგორ ვუვლით კავკასიის სიძველეებს?

**დავით ლორთქიფანიძემ უარყო, რომ ჩვენი მუზეუმები იძარცვება**

**ნოემბრის სამი დღე საკმაოდ დატვირთული იყო ხელოვნების სფეროში მოღვაწე მეცნიერებისთვის, ქართული კულტურის მოყვარულებისა და გულშემატკივრებისთვის. „კავკასიის სიძველეები მსოფლიო მუზეუმებში“ — ამ საინტერესო საერთაშორისო კონფერენციის მასპინძელი იყო საქართველო, კერძოდ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.**

31 ოქტომბერს თბილისს კონფერენციის უცხოელი მონაწილეები ესტუმრნენ: მოსკოვიდან, სანკტ-პეტერბურგიდან, ბაქოდან, ერევნიდან, სოჭიდან, გერმანიიდან... მათ დაათვალიერეს ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, სადაც მხატვარ თეიმურაზ ჯაფარიძის ნამუშევრების გამოფენა მიმდინარეობდა. საღამოს უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს შეხვდნენ.

მეორე დღეს, პირველ ნახევარში კონფერენცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა, ხოლო მეორე ნახევარში — ეროვნულ აკადემიაში გაგრძელდა.

ძალიან მრავალფეროვანი იყო საკონფერენციო თემები, რომელმაც სამეცნიერო საზოგადოებისთვის კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა მსოფლიო სიძველეთსაცავებში დაცული მდიდარი და მრავალფეროვანი კოლექციები. ბუნებრივია, მათი მნიშვნელობა განუზომელია კავკასიის ისტორიისა და კულტურის სფეროს მეცნიერულად შესწავლისთვის: „ქართული სიძველეები მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმში“, „მატენადარანის ხელნაწერული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის პრინციპები“, „კავკასიური კოლექციები ბერლინის სახელმწიფო მუზეუმებში“, „ქართული დიასპორა დონის მხარეში“, „ქართული კოლექციები საზღვარგარეთის სიძველეთა საცავებში“ და სხვა — ასეთი თემები იყო მომხსენებელთა კვლევისა და ინტერესის ობიექტი.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორმა **დავით ლორთქიფანიძემ** სტუმრებს ეროვნული მუზეუმი წარუდგინა, როგორც კავკასიის მუზეუმის მემკვიდრე: **„საქართველოში მუზეუმების განვითარებას სათავე დაუდო 160 წლის წინათ თბილისში დაარსებულმა კავკასიის მუზეუმმა,** — აღნიშნა მან, — **ის თავიდან იყო ენციკლოპედიური, ნატურალისტური ხასიათისა. აქ შენახული მაშინდელი უმდიდრესი კოლექციები დღესაც დაცულია ჩვენს მუზეუმებში. არათუ კოლექციები, იმდროინდელ ვიტრინებსაც კი ვიყენებთ იმის საჩვენებლად, რომ ჩვენ ნულიდან კი არ ვიწყებთ, არამედ ვაგრძელებთ მაშინ გაკვალულ გზას.**

**2004 წელს რამდენიმე მუზეუმი ერთი ქოლგის ქვეშ გავაერთიანეთ. ამ იდეის ერთ-ერთი მიზანი ის იყო, რომ ისინი ქმედითი გაგვეხადა. არ გვინდოდა, მუზეუმი მხოლოდ საჩვენებელი ადგილი ყოფილიყო. ჩვენ ვებრძვით ფუტურიზმს. ჩვენი ინსტიტუტის მთავარი ამოცანაა, მოხდეს მეცნიერებისა და კულტურის სინერგია. თბილისში კულტურის აკროპოლისია ქუჩა, სადაც ეროვნული მუზეუმია განთავსებული, მიმდებარედ კი საჯარო ბიბლიოთეკაა — ესეც სიმბოლურია“.**

დავით ლორთქიფანიძემ იმ პრობლემებზეც მიუთითა, რაც დღემდე აწუხებს ბევრ მუზეუმს, თუმცა, როგორც მან აღნიშნა, ამაზე ინტენსიური მუშაობა გრძელდება სპონსორებთან: **„ჩვენი კოლექციები სიამაყით შეგვიძლია წარვადგინოთ მაღალი დონის საერთაშორისო გამოფენებზე. შ. ამირანაშვილის მუზეუმში საუკეთესო ნამუშევრები ინახება. ისინი ასახავენ არა მხოლოდ ქართულ, არამედ კავკასიურ, აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის თუ საერთოდ, მსოფლიო კულტურის ნაწილს.**

**სამწუხაროდ, ბოლომდე არ არის მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა. ზოგიერთი მუზეუმისთვის ჯერაც არ გვიხლია ხელი. იქ მუშაობენ გმირები, რომლებიც სიძნელეების მიუხედავად უფრთხილდებიან და იცავენ ჩვენს კულტურას“,** — დასძინა მან.

კონფერენციის ფარგლებში მესამე დღე დაეთმო ექსკურსიას მცხეთაში, გორში, ატენის სიონსა და უფლისციხეში. სტუმრებმა დიდი მონდომებით დაათვალიერეს სტალინის სახლ-მუზეუმი...

**მოკლედ**, ეს იყო ნაყოფიერი, შეიძლება ითქვას საჭირო და დროული კონფერენცია, რომელიც რომ არა ზურაბ წერეთლის ფონდის ფინანსური მხარდაჭერა, შეიძლება ვერც კი ჩატარებულიყო. „კავკასიის სიძველეები მსოფლიოს მუზეუმებში“ — ერთგვარი აქცია გახლდათ — უცხოეთის სხვადასხვა ცნობილ მუზეუმში დაცული ქართული კულტურის მემკვიდრეობის წარმოსაჩენად. ასევე, მან შექმნა კარგი საფუძველი მომავალი სამეცნიერო-კულტურული თანამშრომლობისა...

**ნია ფიფია**

◉ აქტუალური თემა

# „ასეთი დამოკიდებულება აფხაზმა ხალხმა თავისი საქციელის გამო დაიმსახურა“

**ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტმა მსჯელობა დაასრულა რუსეთთან შეთანხმების პროექტზე, რომელიც რუსული მხარის მიერ არის მომზადებული. უახლოეს დღეებში კი აფხაზური მხარე რუსეთს შეთანხმების საკუთარ ვარიანტს წარუდგენს, რომელიც რუსულისგან იმით განსხვავდება, რომ ამოღებულია პუნქტი რუსეთის მოქალაქეებისთვის აფხაზეთის მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების შესახებ.**

საინციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი ახრა ბჟანია აცხადებს, რომ პროექტში აფხაზეთის რესპუბლიკის უმთავრესი ინტერესებია წარმოდგენილი, თუმცა, პროექტი ჯერ კიდევ საჭიროებს დახვეწას. **„ეს დოკუმენტი შემდგომში ხელს შეუწყობს აფხაზეთის როგორც ეფექტურ განვითარებას, ასევე რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის ჩამოყალიბებას“,** — აცხადებს ახრა ბჟანია.

პოლიტოლოგი ინალ ხაშიგი აცხადებს, რომ შეთანხმების აფხაზური ვარიანტი ბოლომდე მზად არ არის. მისი თქმით, მასზე ორი ინსტიტუტი — ე.წ. პრეზიდენტის ადმინისტრაცია და პარლამენტი მუშაობდნენ. პოლიტოლოგის თქმით, მასთან დაკავშირებით აფხაზეთში საერთო აზრი არ არსებობს.

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის დეპუტატის ასლან კობახიას განცხადებით, რუსეთის მიერ ახალი პროექტით შემოთავაზებული წინადადები, სხვა არაფერია, თუ არა უპატივცემულობა მათ მიმართ.

**„ჩვენ გვიყურებს ხალხი, აინტერესებთ, ვინ ვართ, გვიყურებს ჩვენი ხალხი, რომელიც სიკვდილის შიშით გარბის თბილისში. როგორ შევაჩეროთ ეს ყოველივე, როგორ შევაჩეროთ ეს სიღატაკე, როგორ განვავითაროთ ეკონომიკა? ამის პარალელურად რუსეთის მიერ ახალი პროექტით შემოთავაზებული წინადადება სხვა არაფერია, თუ არა უპატივცემულობა მათ მიმართ, თუმცა კი, ასეთი დამოკიდებულება აფხაზმა ხალხმა ბოლო წლების განმავლობაში თავისი საქციელის გამო დაიმსახურა კიდეც. ჩვენ უნდა განვავითაროთ ჩვენი ეკონომიკა და მყარად დავდგეთ ფეხზე. გამუდმებით თხოვნა — მომე, მომე, უნდა დამთავრდეს“,** — აღნიშნა ასლან კობახიამ.

რუსეთი სახელმწიფო სათათბიროში შემუშავებული მოკავშირეობის ხელშეკრულების პროექტმა აფხაზეთში ვითარება დაძაბა. აზრი ორად გაიყო დე ფაქტო ხელისუფლებაში, მოსახლეობამ კი, სათათბიროს მიერ მომზადებულ დოკუმენტს აფხაზეთის სუვერენიტეტის დარღვევა უწოდა. ვითარება ისე დაიძაბა, რომ სიტუაციაში „პრეზიდენტი“ რაულ ხაჯიმბა ჩაერია და საზოგადოებას ნაჩქარევი დასკვნების გაკეთებისაგან თავშეკავება ურჩია და სთხოვა, რომ რუსეთის მიერ შეთავაზებულ პროექტს ულტიმატუმად ნუ მიიღებენ. **„რუსეთი აფხაზეთის მტერი კი არ არის, პირიქით — მეგობარია და რომ ახალი ხელშეკრულება აფხაზეთის სუვერენიტეტს არავითარ ზიანს არ მიაყენებს“,** — მიმართა მოსახლეობას რაულ ხაჯიმბამ.

რუსეთის მიერ მომზადებული დოკუმენტით, ოფიციალური თბილისის შემდეგ შეშფოთებას გამოთქვამს ევროსაბჭო, სადაც დოკუმენტი შეფასდა, როგორც მცოცავი ანექსია. ევროსაბჭოს თანამომხსენებლები აღნიშნავენ, რომ შეთანხმება არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და რუსეთის ფედერაციის მიერ ქართული რეგიონის მცოცავი ანექსიის კიდევ ერთი მაგალითია.

პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე აცხადებს, რომ რუსეთის სათათბიროს მიერ მოზადებული დოკუმენტი წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სამართალთან.

საქართველოს საგარეო უწყებაში აცხადებენ, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მიმდინარე პროცესებს უახლოეს პერიოდში სერიოზული გამოხმაურება მოჰყვება საერთაშორისო თანამეგობრობიდან.

**„პირველი დღიდანვე, როგორც კი გაჩნდა ინფორმაცია, რომ იგეგმება ე.წ. ხელშეკრულებების გაფორმება, ჩვენ მყისიერად დავიწყეთ აქტიური დიპლომატიური ქმედებები. 24-საათიან პირდაპირ კონტაქტზე ვართ ჩვენს ევროპელ პარტნიორებთან, ევროკავშირთან, ეუთოსთან, გაეროსთან, ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეებთან. აუცილებელია საერთაშორისო თანამეგობრობის კონსოლიდაცია. მაქვს რწმუნება, რომ ამას მოჰყვება სერიოზული გამოხმაურება საერთაშორისო თანამეგობრობიდან უახლოეს პერიოდში“,** — განაცხადა დავით ზალკალიანმა.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, საქართველოს ხელისუფლებას რუსეთთან ურთიერთობის დროს კარგად გამოზომილი და გააზრებული ნაბიჯების გადადგმა მართებს. დავით უსუფაშვილის განცხადებით, აფხაზეთის დღევანდელ მოსახლეობას არ ჰყავს იმ ტიპის ხელისუფლება, რომელიც პირველ რიგში აფხაზეთზე იფიქრებდა და მერე რუსეთის დავალებებს შეასრულებდა.

**„ჩვენ უნდა ვიყოთ მზად უარესისთვისაც, რადგან ფაქტია, რომ აფხაზეთის დღევანდელ მოსახლეობას არ ჰყავს იმ ტიპის ხელისუფლება, რომელიც, პირველ რიგში, აფხაზეთზე იფიქრებდა და მერე რუსეთის დავალებებს შეასრულებდა. იქ ცოტა სხვა ვითარებაა და ამიტომაც ამისთვისაც ჩვენ მზად უნდა ვიყოთ“,** — აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

**თამთა ქარჩავა**



# გაერთიანებული სამეფოს პირველი ქართული სკოლა

სკოლის გახსნა უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ბრიტანელი ქართველებისთვის. მართალია, ის მხოლოდ შაბათობით ფუნქციონირებს, მაგრამ სკოლის ხელმძღვანელობა ყოველმხრივ ცდილობს, მაქსიმალურად შინაარსიანი გახადოს ეს მცირე დრო თავისი აღსაზრდელებისთვის.

სწავლების პროცესში გამოვლინდა მთელი რიგი წინააღმდეგობანი, რაც თანდათან დაიძლია, თუმცა, კვლავაც მიმდინარეობს დაუღალავი შრომა წინააღმდეგობათა დასაძლევად. ერთ-ერთი პრობლემა ეს არის ქართველთა მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, რომ მშობლები, მით უფრო, დედები, იყვნენ შვილებისთვის პირველი განმანათლებლები, ბრიტანეთში დაირღვა, ვინაიდან ისინი არც ინგლისურ ენას ფლობდნენ და არც ინგლისური განათლების სისტემაში ერკვეოდნენ. ამას მათი შვილები მტკივნეულად განიცდიდნენ და ერთგვარ გულისწყრომასაც გამოთქვამდნენ.

აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად სკოლაში ჩამოაყალიბეს მშობელთა ჯგუფი, რომელიც კვალიფიკაციას გაივლიდა ბრიტანული განათლების სისტემაში გასარკვევად და აქტიურად ჩაებმებოდა სასწავლო პროცესში. მშობლები: ქალბატონი ხათუნა შავგულიძე-უელშისა ესაუბრებოდა ბავშვებს საქართველოს უნიკალურ ისტორიაზე, ქალბატონი თამარ მამალაძე-გვაძაბიასი ასწავლიდა ბავშვებს მრავალხმოვან ფოლკლორულ სიმღერებს, ქ-ნი ქეთი კალანდაძე-ბორმანისა-ქართულ ანდაზებსა და იგავ-არაკებს, ბატონი იური ჭაფოძე ძიუდოში ავარჯიშებდა პატარებს, პედაგოგი: სალომე მამაგულაშვილი ქართული ენისა და ლიტერატურის საოცრებათა სამყაროში ატარებდა მათ, ბატონი რამაზ კარტოზია კი მათემატიკური პრობლემების დაძლევაში ეხმარებოდა მოსწავლეებს და ა.შ.

ამ ტრადიციის განსამტკიცებლად და თაობათა დასაახლოებლად, სასწავლო პროცესის პარალელურად, წელიწადში ატარებენ ოთხ ტრადიციულ ღონისძიებას მოსწავლეთა და მშობელთა მონაწილეობით: **რთველი** (ოქტომბრის ბოლო შაბათი), **შობის მუსიკალური წარმოდგენა** (დეკემბრის მე-2 შაბათი), **„სხვა საქართველო სად არის“** — საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, წლის ბოლო ანგარიშგება — **წარჩინებულთა დაჯილდოების ცერემონიალი** (ივლისის მე-3 შაბათი).

ასე, რომ, სწავლების პროცესის პარალელურად, მუდამ სამზადისი აქვთ ახალ-ახალი ღონისძიებებისთვის. სხვათა შორის, შემეცნებითი პროგრამის ათვისებასთან ერთად, ყურადღებას ამახვილებენ ვაჟებზე, რათა, ქართული სტუმარ-მასპინძლობის, ადათის თანახმად, ისინი რაინდულად დახვდნენ ღონისძიებებზე მოწვეულ სტუმრებს.

პერიოდულად ატარებენ შემეცნებით ღონისძიებებს ბრიტანეთის ისტორიაზე. წლევანდელ საშობაო-საქველმოქმედო ზეიმზე მოსწავლეებმა წარმოადგინეს „ჩვენ ლონდონელები ვართ.“ ვინაიდან ბავშვების უმეტესობა ლონდონშია დაბადებული, ვალდებულნი არიან, ერთნაირად კარგად იცნობდნენ და პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ მშობლიურს, რომელი ფესვებიდანაც მოდიან — საქართველოს, და ინგლისს, სადაც დაიბადნენ. ამიტომ მაქსიმალურად ცდილობენ, მისცენ მათ ცოდნა და ჩაუნერგონ სიყვარული, მოკრძალება და პატივისცემა როგორც საქართველოს, ასევე მათი მასპინძელი ბრიტანეთის მიმართ.

პირველი ქართული სკოლა გაერთიანებულ სამეფოში მატარებელია ბრინჯაოს (2005წ.), ვერცხლის (2008წ.), და ოქროს (2009წ.) „საუკეთესო კვალიფიკაციის სწავლების სკოლის წოდებისა“. სკოლას და მოსწავლეებს ყოველწლიურად (2005, 2008, 2009, 2010, 2011, 2012, 2013 წ.წ.) კენსინგტონისა და ჩელსის რაიონის მერი პირადად აჯილდოებს სპეციალური დიპლომით: „გაწეული მაღალხარისხიანი შრომისა და მიღწეული წარმატებებისთვის“. სკოლას აქვს მიღებული სახელმწიფო ხარისხის „Appolo Awards“ („აპოლოს“ ჯილდო) 2008, 2009, 2010, 2011, 2012 , 2013 წ.წ. ჯილდოები და სხვა.

სკოლა შეხვედრებს უწყობს საქართველოდან ლონდონში ჩამოსულ თანამემამულეებს. თავის აღსაზრდელებს აცნობს მათი ცხოვრების გზას, მიღწევებს და ა.შ. მეტად ამაღელვებელი იყო შეხვედრა ოლიმპიურ ჩემპიონთან ტანვარჯიშში ქ-ნ მზია ჯუღელთან, ცნობილ კომპოზიტორ რუსუდან სებისკვერაძესთან. ქართული სათვისტომო აქ ხვდება საქართველოს დიასპორის მინისტრს, ბატონ კონსტანტინე სურგულაძეს და აცნობს საჭირბოროტო საკითხებს.


პირველი ქართული სკოლის მოსწავლეთა, პედაგოგთა, მშობელთა და გულშემატკივართა ჯგუფი, საშობაო ზეიმის შემდეგ.

დაუსრულებლად შეიძლება, ვისაუბროთ ყოველწლიურად აქ ჩატარებულ საქველმოქმედო ღონისძიებებზე, რომელთაც ერთობლივად ატარებს სკოლა, სათვისტომო და ეკლესია. შემოსული თანხა კი გადაეცემა საქართველოში უპატრონო ბავშვებს და შეჭირვებულ ოჯახებს.

მე საშუალება მქონდა, გავსაუბრებოდი მათთვის განკუთვნილ დასასვენებელ ოთახში მოფუსფუსე მშობლებს. ქალბატონები: თამარ კუბლაშვილი-ალჩბითი, მაკა მიქიაშვილი, სოფია კრავეიშვილი, ეკა ვერულაშვილი, ნინო ჰენნესი, ქეთი გიგიბერია, ლოლიტა ხაჟალია, ასევე ბატონები: ფარნაოზ ქევხიშვილი, პეტრე ჰ ენნესი და სხვები აცხადებენ: **ჩვენი შვილები ბედნიერები არიან და ჩვენ მათზე უფრო ბედნიერები ვართ, აქ რომ მოუხარიათ.**

ან რა უფლება გვაქვს, ჩვენს შვილებს დავუკარგოთ მშობლიური ენა, როდესაც დღესაც ქართულად ლაპარაკობენ საუკუნეებს მიღმა ირანსა და თურქეთში ბედის უკუღმართობით მცხოვრები ქართველები?.. ჩვენ აქ შინაურულად ვგრძნობთ თავს. ენთუზიაზმით ვმონაწილეობთ სკოლის ყოველდღიურ საქმიანობაში და თვით ღონისძიებებში, რასაც ხშირად ატარებს სკოლა.

ყველაზე დიდ სიხარულს ვანიჭებთ ყოველწლიურად ოქტომბრის ბოლო შაბათს, შემოდგომის ბარაქის ლამაზი დღესასწაულის, რთვლის ჩატარებას. დიახ, აქ, ლონდონში, ქართველი ბავშვები მამაპაპურად წურავენ ყურძენს... მშობლები მათ თვალწინ ადუღებენ ბადაგს, ამზადებენ თათარას და ამოჰყავთ ჩურჩხელები. ამასთან, ყველა ერთად, დიდიც და პატარაც, მონაწილეობს რომელიმე ტრადიციული კერძის მომზადებაში. აგემოვნებენ სახელდახელოდ გამომცხვარ ხაჭაპურებს და ჩურჩხელებით ხელდამშვენებულნი, გაცისკროვნებული სახეებით ტოვებენ ნოსტალგიის შემამსუბუქებელ და თვითმყოფადობის შემანარჩუნებელ მათთვის ესოდენ ძვირფას სკოლას.


უფალი ქართველებს გადასცემს თავის წილხვედრ მიწას. ანტიკური საქართველო – გიგი ქიქავა

მშობლები ერთმანეთს ეჯიბრებიან სკოლის ტრადიციების ჩამოთვლასა და აღწერაში. ყოველ მათ სიტყვა-პასუხში, ქმედებასა და მიმოხვრაში მყისვე შეიცნობა შვილებისთვის თავგანწირული, სამშობლოსთვის თავდადებული ტიპიური ქართველი მანდილოსნის სახე.

მოულოდნელად, ენერგიულ მიხვრა-მოხვრასთან შეზავებული კდემამოსილებით, გვიახლოვდება ქალბატონი ლიანა ჯიქია და გვიწვევს დარბაზში, სადაც მოზარდები, მათ შორის, ფერადკანიანებიც, ასაკის მიხედვით, ჯგუფ-ჯგუფად სხედან მაგიდებთან და ინტერესით უსმენენ თავიანთ პედაგოგებს: ქალბატონებს: ზიზი თედელურს, ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანს, სოფია კრავეიშვილს, ეთო ნიაზაშვილ-სიხარულიძეს, მსოფლიოს ერთ-ერთი თვალსაჩინო უნივერსიტეტის — ლონდონის იმპერიალ კოლეჯის უნივერსიტეტის სტუდენტებს: რიზს გოდდარდს, ემმა ვატკინს, რუტტი პატელს, ლი ჯინუის, ჯუ სიჯიას, და ლი უიის (უნივერსიტეტის სტუდენტები ქართულ სკოლაში გადიან პრაქტიკას, რაც უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს ქართველ მოზარდებს სამომავლო პროფესიის უკეთ შერჩევაში).

არ შეიძლება, არ აღინიშნოს, რომ სკოლა, მისი პედაგოგები და მშობლები დაინტერესდნენ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის მიერ გამოცემული ქართველ კლასიკოსთა მინიატიურული კრებულებით, დაუკავშირდნენ ასოციაციის თავმჯდომარეს, ქალბატონ ლია ნადარეიშვილს, რომელმაც, რა თქმა უნდა, გულთან ახლოს მიიტანა ყოველივე ეს და დაუყოვნებლივ გამოუგზავნა სკოლას მაღალი მხატვრული და პოლიგრაფიული დონით გამორჩეული ეს სასაჩუქროდ გასათვალისწინებელი მინიატიურული გამოცემები.

ყურადსაღებია ქ-ნი ლიანა ჯიქიას შეხედულება ბრიტანულ განათლების სისტემაზე:

**„ბრიტანეთს აქვს განათლების სისტემა 1664 წლიდან. ამიტომაც, მას უდიდესი გამოცდილება და მოქნილობა ახასიათებს. კონსტიტუციის უქონლობა მათი უპირატესობაცაა. ანუ, თუ საქმე მოითხოვს, შეუძლიათ ახალი კანონის შემოღება და მორგება ყოველგვარი კენჭისყრის გარეშე.**

**ბრიტანეთში არსებობს: საშუალო განათლება, ფასიანი სახელმწიფო და ფასიანი კერძო სკოლა. კერძო სკოლებს აქვთ სახელმწიფო აკრედიტაცია და ნებართვა იმისა, რომ მაღალი კვალიფიკაციის სასწავლო პროგრამები დანერგონ. ასეთ სკოლადამთავრებულთათვის ყველა უნივერსიტეტის კარი ღიაა.**

**მაგრამ, ქვეყანას პრაქტიკოსები, ვიწრო სპეციალობის მუშაკები უფრო სჭირდება ეკონომიკის ასამაღლებლად. ვიწრო პროფილის, მოთხოვნადი სპეციალობის შესწავლა რამდენიმე თვეშია შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, სამსახურის შეცვლასთან ერთად, პროფესიის შეცვლაც ადვილია და სამუშაოსაც იოლად პოულობენ.**

საქართველოში უკვე ინერგება განათლების ასეთი სისტემა და თანდათანობით საზოგადოების აზრიც შეიცვლება. მომავალში მშობლები ამოირჩევენ მათთვის სასურველ განათლების დარგს და მაშინ მათ დამატებითი მასწავლებლის აყვანა არ დასჭირდებათ შვილების მოსამზადებლად.

დღესდღეობით კი მშობლების ამბიცია განსაზღვრავს სკოლის არჩევანს, მაგრამ გავა დრო და ისინიც გაითვალისწინებენ შვილების ნიჭსა და შესაძლებლობებს. წინააღმდეგ შემთხვევაში იქნება უმაღლესდამთავრებულ-უმუშევართა არმია.

სულ მალე მკითხველი იხილავს ქ-ნ ლიანა ჯიქიას ახალ წიგნს ბრიტანული განათლების სისტემასა და სასწავლო პროგრამებზე, რომელშიც პროფესიონალებისთვის დაკონკრეტებულია გაკვეთილების თემატური სქემები და სავარჯიშოები. წიგნის წარდგენა და განხილვა ჩატარდა ლონდონში „National Resource Centre for Education“ (ეროვნული განათლების ცენტრში) და პროფესიონალების: ანჟელა ბელლის და პასკალ გარრატის მოწონება და მაღალი შეფასება დაიმსახურა. იმედია, მკითხველი ბევრ საინტერესო და დასანერგ იდეებს იპოვის ამ წიგნში.

არ შეიძლება, არ აღინიშნოს თავად ლია ჯიქიას განვლილ ცხოვრებაზე. იგი წარმოშობით სენაკიდანაა, რითაც დიდად ამაყობს. დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო მართვის უნივერსიტეტი, მოსკოვის სახელმწიფო მართვის აკადემიის ასპირანტურა, ლონდონის დაწყებითი კლასების პედაგოგიკა, ფსიქოლოგია და ორგანიზაცია. არის ერთი ქართული, ორი რუსული და რვა ინგლისური დიპლომის მფლობელი.

მუშაობდა სენაკის მე-5 საშუალო სკოლაში, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ — თბილისის საქალაქო საბჭოში, მერიაში და თბილისის ქალაქკომში. პედაგოგიურ მოღვაწეობას აგრძელებს მოსკოვის მართვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან. 1995-1999წ.წ. ქ-ნ ჯენი ვრონსკაიასთან ერთად ლონდონში დააარსა პირველი ინგლისურ-რუსული ყოველთვიური გაზეთი „Europian Herold“ (ევროპის მაცნე), 2002 წელს დააარსა პირველი ქართული სკოლა გაერთიანებულ სამეფოში, რომელიც იმჟამად იყო პირველი ქართული სკოლა ევროპაში. ქართული სკოლის ბაზაზე შეიქმნა ლონდონში არსებული ორგანიზაციები: ქართული ეკლესია, ქართული სათვისტომო, ქართული გაზეთი, პირველი ცეკვის სტუდია, კენსინგტონისა და ჩელსის ახალგაზრდა ინვალიდთა თანამდგომი ჯგუფი და სხვა. ამჟამად მუშაობს ლონდონის რომანო-კათოლიკურ სკოლაში. არის გაერთიანებული სამეფოს პირველი ქართული სკოლის დირექტორი სკოლის დაარსების დღიდან, საქველმოქმედო საწყისებზე.

ლია ჯიქია და მისი მეუღლე, ვახტანგ გოგრიჭიანი, თანაკურსელები არიან. ჰყავთ ერთადერთი ქალიშვილი ანნა.

ქალბატონი ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანის ცხოვრების უმთავრესი მიზანია: ლონდონში დაბადებული ქართველი ბავშვები აღზარდოს სრულყოფილ ქართველებად, მოამზადოს ისინი სამშობლოსთან ღირსეულად შესახვედრად, რათა მათ შემდგომ მონაწილეობა მიიღონ საქართველოს აღმშენებლობაში, და სიამაყით თქვან, რომ დაამთავრეს გაერთიანებული სამეფოს პირველი ქართული სკოლა, და რომ ამ სკოლამ შემოუნახა მათ ქართული აზროვნება, სული და მეობა.

**დარეჯან კაციტაძე,**
ლონდონი.

დასასრული. დასაწყისი იხ. № 224

# ხომ არ აღმოჩნდება, რომ დავკარგეთ მომავალი?



## „პროკურატურა როგორც იყო საქართველოს სირცხვილი, ასეთადვე რჩება, სამწუხაროდ“

**მმართველი კოალიციის შესაძლო დაშლაზე საუბარი ჯერ კიდევ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე დაიწყო, ვიდრე კოალიცია საბოლოოდ დაკომპლექტდებოდა. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგაც კოალიციაში შემავალი სუბიექტები მოსალოდნელ დაშლას თეორიულად არ გამორიცხავდნენ, თუმცა, ბოლო დღეებში განცხადებები კოალიციის შესაძლო დატოვების შესახებ „რესპუბლიკურმა პარტიამ“ ღიად განაცხადა. რამდენად მომწიფდა ფონი სახელისუფლებო ძალთა გადანაცვლებებისთვის? — ამ თემაზე გვესაუბრება ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი.**

**— ბატონო სოსო, ეს არის განცხადებები დივიდენდების მოსაპოვებლად თუ რეალური ფონია შექმნილი იმისათვის, რომ კოალიციიას შესაძლო დაშლაზე სერიოზულად ვიმსჯელოთ?**

— ზოგადად, სიყვარული ძალზე ღრმა ფასეულობაა, რომლის გამოხატულებაც მუდმივად ცვალებადია. მრავალწლიანი ოჯახები იშლება და რა გასაკვირია, თუ საჯარო პოლიტიკური ქორწინების სუბიექტები სხვადასხვა პარტიების სახით, საკუთარი სურვილით ჯერ ერთიან ოჯახში ერთიანდებიან, შემდგომ, უკვე, საკუთარ უკეთეს მომავალს გაედევნებიან?

კონტექსტი განშორებისა, თავიდანვე ჩადებული იყო კოალიციის შინაარსში, სხვაგვარად ეს იქნებოდა ერთი და იგივე პარტიების გაერთიანება.

დალაგებულ სიტუაციაში გასაგებია, რომ ნორმალურია და დემოკრატიული პროცესია თუ კოალიცია დაიშლება, მაგრამ საინტერესოა, რას მივიღებთ ჩვენს სიტუაციაში — ძალზე საინტერესოა ასევე, ასეთ შემთხვევაში საპარლამენტო უმცირესობა-უმრავლესობა როგორ გადანაწილდება და ა.შ. რა პროგნოზები შეიძლება გაკეთდეს იმ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ, რომ რესპუბლიკელები და ალასანია მოინდომებენ კოალიციის დატოვებას?

**— მე მგონი, უნდა მიეცეთ საშუალება კოალიციაში შემავალი პოლიტიკური სუბიექტების ლიდერებს სადმე, საჩხერის რაიონში, ან ურეკისკენ მოაწყონ შეხვედრა, სადაც გულწრფელად გულღიად, ყოველგვარი მედიის და უცხოელი დიპლომატების გარეშე მოახერხებენ შეაფასონ მათ მიერ განვლილი წლები და მივიდნენ დასკვნამდე, შეიძლება იყოს თუ არა ეს კოალიცია თანაბარუფლებიანი სუბიეტებისგან შემდგარი.**

**თუ აღმოჩნდება, რომ ამ კოალიციის შემქმნელთა ინტერესები თავიდანვე იყო ის, რომ მხოლოდ ერთი პარტია ყოფილიყო ლიდერი, ხოლო დანარჩენი გარემოცვა, რა რეალობაც დღეს გვაქვს, მაშინ დაშლა-მოშლის სხვა წესი შეიძლება იქნას გამოყენებული.**

**თუ იქნება საუბარი იმაზე, რომ იყვნენ სრულუფლებიანი მონაწილენი ამ პროცესისა, მაშინ, შესაძლოა, რომ სულაც არ იყოს ლაპარაკი დაქუცმაცებაზე. ერთია მთავარი, რომ გარდა ახლა წარმოჩენილი ვიწრო პარტიული ინტერესებისა, თითოეულ სუბიექტს უნდა ჰქონდეს ხედვა სახელმწიფო ინტერესების პირველადობის და პარტიული ინტერესების მეორადობის შესახებ. სხვაგვარად წყალში იქნება გადაყრილი ის შრომა და მოწადინება, რაც იყო უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში იმ პარტიებისთვის, რომლებიც ვერ მოზომავენ საკუთარ შესაძლებლობებს და კვლავ მეოცნებეებად დარჩებიან ზოგი კენტად, ზოგი წყვილად.**

**გაქვთ ვარაუდი, რა ტიპის გადალაგება შეიძლება მოხდეს, თუკი სიტუაცია გართულდება და ვერაფერზე შეთანხმდებიან?**

— ჯერ ერთი, კოალიციის თითოეულმა სუბიექტმა უნდა გაიაზროს ნაციონალური მოძრაობის ოცნების რამდენი პროცენტია ის ფაქტი, რომ დაიშალოს დღეს არსებული კოალიცია და ვის წისქვილზე მიუშვებს წყალს ასეთ ვითარებაში.

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ რაიმე ტიპის წინასწარი განხილვები არსებობდა ნაციონალურ მოძრობასთან ერთად. რასაკვირველია, ასეთი რამ არ ყოფილა, მაგრამ თავად ის, რომ კოალიციიდან რაც შეიძლება მაღალრეიტინგული ლიდერები გამოვიდნენ, უნდა ვთქვათ, რომ ეს ნამდვილად იქნება ნაციონალური მოძრაობის ინტერესებში.

ამიტომ, ინტერესით ვაკვირდები საქმეში ჩაუხედავი გააქტიურებული ინდივიდების განცხადებებს, რომ თურმე ირაკლი ალასანიამ აუცილებლად უნდა აგოს პასუხი, რომ აუცილებლად უნდა დატოვოს თანამდებობა და ა.შ. უკაცრავად, მაგრამ ვინ ეკითხება ერთს, მეორეს ან მესამეს, რას იზამს ირაკლი ალასანია?!

რასაკვირველია, ნაციონალებს დიდი სურვილი ექნებათ, რომ უსუფაშვილიც ჩამოშორდეს კოალიციას, ალასანიაც და კიდევ სხვაც, რომლებიც წარმოადგენენ საყრდენს ამ კოალიციის, რომ შემდგომ დაიწყოს გარკვეული მოძრაობა, შემდეგ ახალი კოალიცია შედგეს ნაციონალების ლანდის მონაწილეობით.

შეთქმულების თეორიის არაერთი თავი გვაქვს წაკითხულიც, მოსმენილიც და ნანახიც, მაგრამ ასეთი ისტორიების შემქმნელთ ყოველთვის ხელმოცარულებს ვხედავთ ხოლმე, რადგან ასეთ შემთხვევაში, ყველას ავიწყდება საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ხალხის არსებობა და პატარა კაბინეტებში ერთმანეთთან გადაჩურჩულებით მიღებული გადაწყვეტილებები საბოლოო ვერდიქტი ჰგონიათ ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ასე არ ხდება, საკმაოდ გაქტიურებულია თავად საზოგადოებაც და ვგონებ, სენსაციების მოყვარულთ, ალბათ, გაუჩნდებათ, ბოლოს და ბოლოს, აზრი, რომ უფრო ფრთხილად უნდა ვიყოთ საკუთარ შეთავაზებებში. საკუთარი აზრების თავზე მოხვევისგან შევიკავოთ თავი და ვაცალოთ იმ გამოცდილ პოლიტიკოსებს, რომლებსაც სრული უფლება აქვთ, თავად განსაზღვრონ საკუთარი პოლიტიკური მომავალი.

**— მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე საკმაოდ საინტერესოა, რაც მოხდა თავდაცვის სამინისტროში, ეს ხომ არ არის გაფრთხილება, რომ თუ პარტიის თავმჯდომარეობას დაუბრუნდება ალასანია, შესაძლოა, მისი მინისტრობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს? ფაქტია, რომ საკმაოდ ბევრი კითხვა არსებობს ამ ფაქტის მიმართ...**

— მე მაქვს კითხვა, რომელიც დაიბადა 2013 წლის მაისში და რომელზე პასუხიც მიუხედავად არაერთი დაპირებისა, ბიძინა ივანიშვილისგან არ მიმიღია. ის, რაც დღეს ხდება ჩვენი ახალგაზრდა პრემიერის თავს, შემიძლია ჩავთვალო, რომ არის გაგრძელება იმ ტრაქტორების ეპოპეისა, რომელიც თავს გადახდა ივანიშვილს. დღეს სწორედ „სილქნეტის“ „ტრაქტორებია“ ღარიბაშვილის თავისტკივილი და იმედი მაქვს, ის საკუთარ წინამორბედზე უფრო ღირსეულად გამოვა ამ მდგომარეობიდან, რადგან პროკურატურა როგორც იყო საქართველოს სირცხვილი, ასეთადვე რჩება სამწუხაროდ.

არანაირი დამაჯერებლობა იმისა, რომ გაფლანგვა იყო, არ არის, მაშინ, როდესაც არავინ კომენტარს არ აკეთებს პროკურატურიდან „სილქნეტის“ მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, სადაც თეთრით შავზე წერია, ვის რამდენად შეეძლო ამ სამუშაოს შესრულება. ნაცვლად იმ ციფრებისა, რომელიც სახელმწიფო ხარჯების დაზოგვაზე მიანიშნებს, რეცეპტად გამოუწერეს გაფლანგვა.

ამის გამკეთებელი რომ არის პროკურატურა, არაერთხელ ვყოფილვარ მოწმე ლაშა ნაცვლიშვილის პერიოდში. რა დაეტყო ჩვენს პროკურატურას, რომ ის აღარ არის ზურიკელა ადეიშვილის ან ლაშა ნაცვლიშვილს სახელობის?! სად იპოვეს ახალგამოჩეკილი სოსო თოფურიძეები, რომლებსაც სახელმწიფო მოხელეები ისე მიჰყავთ გასასამართლებლად, რომ ადვოკატებსაც არ აქვთ ინფორმაცია, რას ედავებიან და რას აბრალებენ ამ ადამიანებს?

**— სწორედ ამიტომ ჩნდება კითხვები — ეს არის გაფრთხილება, რომ ალასანია თუ არ მოიქცევა ისე, როგორც ვიღაცას სურს, ყველაფერი შეიძლება მოხდეს? ეს ყველაფერი რას ნიშნავს?**

— ეს იმას ნიშნავს, რომ პროკურატურა და მთავრობის თავმჯდომარე არიან მუდმივ ურთიერთობაში. ადრეც ყოველთვის გვეუბნებოდა ივანიშვილი, რომ საქმის კურსში ვარ და რაც ინფორმაცია გაქვთ, ასე არ არისო, რომ მე ვერ ჩავერევი პროკურატურის საქმიანობაშიო. დღეს, ჯერჯერობით, ასეთი არაფერი ისმის, თუმცა, ახალგაზრდა, ნიჭიერი პრემიერ-მინისტრი ცდება, როცა ხშირად აფასებს პროკურატურის ამა თუ იმ ნაბიჯს და ზოგჯერ წინმსწრებადაც კი წინასწარმეტყველებს, როგორ განვითარდება ამა თუ იმ ძიების მსვლელობა. ამდენად, თუ არ იქნება სრული თავშეკავება ხელისუფლების უმაღლესი პირებისაგან და გაკეთდება გაუთავებელი კომენტარები მათი მხრიდან, ეს კვლავ დიდი ხნით დააზიანებს პროცესს სამართლიანობის აღდგენისა.

არც ერთ პროკურორს, არც ერთ მოსამართლეს, რომლებიც ათეული წლის განმავლობაში ნერგავდნენ საქართველოში უსინდისობას, უსამართლობას და არაკაცობას, არ მოსვლია თავში საკუთარი უფროსისთვის, ახალმისული ადამიანისთვის ეგრძნობინებინა, მისგან უსამართლოდ გადაწყვეტილი საქმე ვის მიმართ, ან რამდენი ადამიანის მიმართ იყო წარმოებული. არანაირი მონანიების გრძნობა ამ ადამიანებს არა აქვთ, რაც იმას მიანიშნებს, რომ ისინი ისევ იმ ძალების ხელშემყურენი არიან, რომლებიც მათ დავალებებს აძლევდა. უამრავი საქმეა, რომლის ხელის არმოკიდება არის ნიშანი იმისა, რომ სწორედ ადეიშვილი ზეობს დღევანდელ პროკურატურაში.

**— დავუშვათ, ღარიბაშვილი თამაშობს ალასანიას წინააღმდეგ, რითი რჩება მოგებული, იმითი, რომ პრეზიდენტს შეურიგდა? რაღაც თითქოს ისე არ არის, არ ბალანსდება...**

— რა თქმა უნდა, ეს არათანაბარი შედარებაა, ვგულშემატკივრობ რა „ქართული ოცნების“ სამთავრობო და საპრეზიდენტო სტრუქტურებს, საპარლამენტო უმრავლესობას, რასაკვირველია, მხოლოდ სიკეთე მინდა მათთვის. მაგრამ, შიგნით, როგორც ჩანს, არ არის ის ჯანსაღი ვითარება, როგორც 2012 წლიდან არსებობდა და ყოველივე ეს უფრო ცენტრიდანული ძალების მიმანიშნებელია, ვიდრე ცენტისკენულის.

ზოგადად ნუღარ ვეცდებით, შევქმნათ საიდუმლო იმისგან, რომ გამაერთიანებელი ივანიშვილი და დამქუცმაცებელი ივანიშვილი ორი სხვადასხვა ღირებულების მოვლენა გახლავთ. პირველ შემთხვევაში ეს არის მართლაც სამუდამოდ ქართულ ლეგენდად დარჩენილი პიროვნება, რომელმაც უამრავი სიკეთე უბოძა საკუთარ ხალხს და სახელმწიფოს, მაგრამ არ აცალა საკუთარ თავს ამ ადამიანმა, რომ მოიმკას ის, რაც დათესა და ნაცვლად ამისა, თესავს და თესავს იმას, რაც არ იყო ჩვენი საზოგადოების მოლოდინი. ამიტომ, მასაც უნდა თანადგომა, მასაც სჭირდება კომუნიკაციების უფრო ფართო ქსელი იმისათვის, რომ რაიმე გაუგებრობას არ გადაჰყვეს მისი მრავალწლიანი მცდელობის შედეგები.

**— დავუშვათ, ივანიშვილს აქვს გეგმა, რომ დაშალოს კოალიცია იმიტომ, რომ ვიღაცები მას არ უჯერებენ. იმ შემთხვევაში თუ ალასანია და რესპუბლიკელები თავიანთი გზით წავლენ, რა დარჩება ივანიშვილს?**

—კოალიცია უკვე ამჟღავნებს თავკომბალას ნიშნებს და ეს არახალია, როდესაც ექვსსუბიექტიან კოალიციაში ერთი სუბიექტი ისაკუთრებს 50%-ს არჩევითი თანამდებობების და დანარჩენ 5 სუბიექტს 10-10% ერგება. ეს კოლიციის შიდა საქმეა, მაგრამ გარედან ჩანს, რომ კოალიცია თანაბარუფლებიანი სუბიექტებით არ არის დაკომპლექტებული.

გააჩნია, როგორ თამაშს ვითამაშებთ — ლიდერებს შევადარებთ ერთმანეთის, პირველ სამეულს პირველ ათეულს, თუ როგორ გავერკვეთ, რომელი პოლიტიკური ძალა უფრო მნიშვნელოვანია? წარსულს გადავხედოთ მათსას, წარმატებები გავიხსენოთ ვინმესი? — ეს ხდება, როგორც წესი, არჩევნების სახით. რაიმე ტიპის შანტაჟი ერთმანეთის მიმართ იქნება ყველაზე არასასურველი ქართული სახელმწიფოებრიობისთვის. სწორედ ასეთი შანტაჟის დამთესი ძალა არის დღეს ნაციონალური მოძრაობა და არცთუ უნიჭოდ აღწევს საკუთარ მიზანს. ამიტომ მეტი სიფხიზლე, სიცხადე და ნაკლები — კულუარებში მიღებული გადაწყვეტილებების მონური მორჩილება.

უნდა იყოს მუდმივი და ღია საუბარი — ღია საუბარში ვგულისხმობ შიდა პოლიტიკური ძალების სივრცეს და არა ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ს ან ნებისმიერ სხვა ტელეკომპანიას. არ უნდა იყოს კითხვები თავად პარტიის წევრებს შორის, რადგან დღევანდელი სიტუაცია წარმოშობს საფრთხეს იმისას, რომ ქართველი საზოგადოებისთვის პოლიტიკური პარტია აღარ იქნება არანაირი აუცილებლობა ქვეყნის მომავლის განსაზღვრისათვის.

ეს სხვა ტიპის სირთულეებსაც წარმოშობს. ამიტომ ვისაც აქვს უნარი, რომ რეალური პოლიტიკური პარტია იყოლიოს და ისე უხელმძღვანელოს ამ ერთობას, ეს უნდა გააკეთოს არა მხოლოდ ხელისუფლებაში მოსვლის იდეით, არამედ სახელმწიფოსთვის სიკეთის კეთების სურვილით. ადრე თუ გვიან, გამარჯვებული იქნება ის, ვისაც ხელეწიფება პროგრესისკენ სვლა და ეს იქნება დამაჯერებელი მთელი მოსახლეობისთვისაც.

ძალიან მძიმე დრო არის არჩეული შიდა კინკლაობისთვის და მოგვწონს თუ არა ეს, უკვე რეალობაა. ვერ შევკადრებ საზოგადოებას რაიმე საკუთარი რეცეპტის შეთავაზებას, მაგრამ დავესესხები გენიოს ადამიანს უინსტონ ჩერჩილს, და მის ნათქვამს შევთავაზებ მკითხველებს, იგი ბრძანებდა: „როგორც კი წამოვიწყებთ კამათს აწმყოსა და წარსულს შორის, აღმოჩნდება, რომ ჩვენ დავკარგეთ მომავალი“ — ეგებ ჩერჩილმა მაინც დაგვაფიქროს იმ ვითარებაზე, ხომ არ ვახორციელებთ ამ ფორმულის ხორცშესხმას მაინცდამაინც ბედკრული საქართველოს მიმართ.

**— ნაციონალების რეანიმაციაზე საუბარი უადგილოა, მაგრამ მათ გარდა ვინ დარჩებოდა ასეთი გადათამაშებით მოგებული?**

— ჯერჯერობით, რაიმე ტიპის მესამე ძალაზე ლაპარაკი ზედმეტია. შესაძლოა, ასეთი სურვილი საზოგადოებაში იყოს, მაგრამ ეს მესამე ძალა უცხოპლანეტელებისგან ვერ შედგება. ისე, როგორც თითოეული ჩვენგანი მოტივირებულია, დააკომპლექტოს ფეხბურთის ნაკრები, მთავრობა, პარლამენტი და ა.შ. და როცა ყველაფერი სხვანაირად ხდება, უკვე უკმაყოფილებაც ფაქტია. წინასწარ ვინ რას იზამს, ძნელია თქმა, მაგრამ ქართველ საზოგადოებაში ჯერ კიდევ ძლიერია იმ სიბრძნის მოქმედება, რასაც ჰქვია რასაც დასთეს, იმას მოიმკი. თუ ვინმე უკმაყოფილო იქნება, რომ სხვა დათესა და სხვას იმკის, მას შეახსენებენ, „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

მე მაქვს კითხვა, რომელიც დაიბადა 2013 წლის მაისში და რომელზე პასუხიც მიუხედავად არაერთი დაპირებისა, ბიძინა ივანიშვილისგან არ მიმიღია. ის, რაც დღეს ხდება ჩვენი ახალგაზრდა პრემიერის თავს, შემიძლია ჩავთვალო, რომ არის გაგრძელება იმ ტრაქტორების ეპოპეისა, რომელიც თავს გადახდა ივანიშვილს. დღეს სწორედ „სილქნეტის“ „ტრაქტორებია“ ღარიბაშვილის თავისტკივილი და იმედი მაქვს, ის საკუთარ წინამორბედზე უფრო ღირსეულად გამოვა ამ მდგომარეობიდან, რადგან პროკურატურა როგორც იყო საქართველოს სირცხვილი, ასეთადვე რჩება სამწუხაროდ.

ლალი ზირაქიშვილი

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# აფხაზეთი ინტეგრაციის ნაცვლად რუსეთს სტრატეგიულ პარტნიორობას სთავაზობს

## საქართველო აცხადებს, რომ განვითარების ევროპული გზა ერთადერთი შანსია აფხაზების თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის

**აფხაზეთის საზოგადოებრიობის პროტესტების შედეგად აფხაზეთის სუვერენიტეტისთვის ზიანის მიყენების საფრთხესთან დაკავშირებით, სოხუმმა შეიტანა შესწორებები მოსკოვის მიერ ადრე შემოთავაზებულ რუსეთ-აფხაზეთის ახალი შეთანხმების ტექსტში. ხელშეკრულების პროექტში შეიცვალა მისი სახელწოდებაც კი. კერძოდ, თუ რუსეთის ვარიანტში საკითხი შეეხებოდა შეთანხმებას „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“, აფხაზეთის ახალ შეთანხმებაში მას ეწოდება მოლაპარაკება „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“.**

### სოხუმის პროექტი

**აფხაზურ პროექტში ასევე შეიცვალა რუსეთის ზოგიერთი ფორმულირება. კერძოდ, თანამშრომლობის ძირითად მიმართულებათა ჩამონათვალს შორის – „შეთანხმებული საგარეო პოლიტიკის“ – განხორციელება აფხაზურ ტექსტში შეცვლილია „კოორდინირებული“ საგარეო პოლიტიკით.**



აფხაზეთის მხარე ასევე „ერთიანი სოციალური და ეკონომიკური სივრცის შექმნის“ ნაცვლად სთავაზობს რუსეთს, „ხელი შეუწყოს აფაზეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას“. სოხუმის მიერ შემოთავაზებულ ვარიანტში ამავე დროს დაემატა დებულება რუსეთის მიერ განხორციელებული ძალისხმევის შესახებ აფხაზეთის „სრულუფლებიანი მონაწილეობის შესახებ“ საინტეგრაციო პროექტებში პოსტსაბჭოთა სივრცეში, რასაც ახორციელებს რუსეთის ფედერაცია თავისი ინიციატივითა და ხელშეწყობით. საკითხი შეეხება ევრაზიულ კავშირს.

სოხუმმა პროექტიდან ამოიღო თავისი ვალდებულება – გაამარტივოს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებისთვის აფხაზური მოქალაქეობის მინიჭების პროცედურები, ამავე დროს დატოვეს ტექსტში დებულება, რომლის თანახმადაც ეს ცალმხრივ უნდა გააკეთოს რუსეთმა.

აღსანიშნავია, რომ აფხაზური კანონებით, ორმაგი მოქალაქეობა აფხაზეთის მცხოვრებლებისთვის შესაძლებელია მხოლოდ რუსეთის ფედერაციასთან, ადგილობრივ მცხოვრებთა უდიდეს უმრავლესობას კი აქვს რუსული პასპორტები. ამავე დროს, სოხუმი ეწინააღმდეგება აფხაზური პასპორტების გაცემის გამარტივებას რუსეთის მოქალაქეებისთვის იმის შიშით, რომ რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები ეთნიკური ქართველები, რომლებიც 1990-იან წლებში იძულებული იყვნენ, დაეტოვებინათ თავიანთი სახლები აფხაზეთში, მოითხოვენ თავიანთი ქონების დაბრუნებას.

შეგახსენებთ, რომ 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, აფხაზეთში ცხოვრობდა 48 პროცენტი ქართველი და 17 პროცენტი აფხაზი. დღეს, აფხაზეთის ოფიციალური მონაცემებით, ქართველთა რიცხვი, რომლებიც აფხაზეთში ცხოვრობენ, შემცირდა 19,26 პროცენტამდე, ეთნიკური აფხაზების წილი კი 50,71 პროცენტამდე გაიზარდა.

ცვლილებები შეეხო მოსკოვის მიერ შემოთავაზებულ დებულებებსაც საბაჟო კონტროლთან და სამართალდაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. კერძოდ, სოხუმის პროექტში აფხაზეთის მხარის მონაწილეობა ამ სფეროების მართვაში გაფართოებულია.

ამავე დროს, აფხაზეთის პროექტში შენარჩუნებულია პუნქტები სოციალური დაცვის ინტეგრაციის, საპენსიო უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. ტექსტში ასევე შეტანილია ახალი დებულება, რომელიც ითვალისწინებს რუსეთის ხელშეწყობას „აფხაზური ენის განვითარების პროგრამის“ განხორციელებაში.

### თავდაცვა და უშიშროება

**ხელშეკრულების აფხაზურ პროექტში შენარჩუნებულია რუსეთის წინადადება თავდაცვისა და უშიშროების საერთო სივრცის ჩამოყალიბების შესახებ. პუნქტს, რომელიც ითვალისწინებს რუსეთის მიერ ჯარების დაჯგუფებათა გაერთიანების სარდლის დანიშვნის შესახებ ომის დროს ან „აგრესიის პირდაპირი საფრთხის“ პირობებში, დაემატა, რომ მის მოადგილეს ნიშნავს აფხაზეთის სრულუფლებიანი ორგანო. ასევე აფხაზეთის მხარე აცხადებს, რომ სანქცია დაჯგუფების ოპერაციების მომზადებისა და განხორციელებისთვის არის აფხაზეთისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტების ერთობლივი გადაწყვეტილება.**

რაც შეეხება ჯარების თავად გაერთიანებულ დაჯგუფებას, სოხუმი სთავაზობს – ჩამოყალიბდეს იგი აფხაზეთის და რუსეთის შეიარაღებული ძალების მონაწილეობით, აგრეთვე იმას, რომ მშვიდობიან პერიოდში მისი სარდლობა ხორციელდება როტაციის პრინციპით. აფხაზეთის მხარე ინარჩუნებს პუნქტებს აფხაზეთის სამხედრო მოსამსახურეების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, ფულადი უზრუნველყოფისა და სოციალური გარანტიების შესახებ, მან დაუმატა ასევე დებულება რუსეთის მიერ აფხაზეთის შეიარაღებული ძალების აღჭურვის შესახებ „შეიარაღების თანამედროვე ნიმუშებით“.

მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების აფხაზური ტექსტი გამოქვეყნდა 30 ოქტომბერს, ოფიციალურ მოსკოვს ჯერჯერობით მასზე კომენტარები არ გაუკეთებია.

### „პირადი ამოცანა“

**საქართველოს პარლამენტმა ჯერ კიდევ ოქტომბრის შუა რიცხვებში, როდესაც გამოქვეყნდა აფხაზეთთან ახალი შეთანხმების რუსული პროექტი, შეაფასა იგი, როგორც „ოკუპირებული აფხაზეთის ანექსიის მცდელობა“. თავის მხრივ, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ „ქართული მხარის შეფასება თითქოსდა აფხაზეთის „ანექსიის“ შესახებ – ეს არის არაკეთილსინდისიერი და სახიფათო სპეკულაცია“.**

კრიტიკული განცხადებები მოსკოვის მისამართით პრაქტიკულად გააკეთა საქართველოს ყველა პოლიტიკურმა ძალამ, მათ შორის, პრემიერ-მინისტრმაც, რომელმაც გაწბილება დაინახა მოსკოვის პასუხში მის სიტყვებზე „საქართველოს კონსტრუქციულ ნაბიჯებთან“ დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ იმედი აქვს, რომ „ჯერ კიდევ არის შანსი სიტუაციის გამოსწორებისთვის“. მან ასევე აღნიშნა, რომ „შეშფოთებულია“ აფხაზეთში შექმნილი სიტუაციის გამო და განმარტა, რომ „აფხაზური ეთნოსის გადარჩენა და მისი მთლიანობის შენარჩუნება“ მისი „პირადი ამოცანაა“.

**„აფხაზი ხალხის საუკეთესო პერსპექტივა – ეს არის მისი ინტეგრაცია ევროპაში საქართველოსთან ერთად. მას აქვს განვითარებისა და თავიანთი თვითმყოფადობის შენარჩუნების ერთადერთი შანსი – იყოს საქართველოსთან ერთად, ვინაიდან ეს არის ბუნებრივი მონაცემები, რომელიც დაირღვა 25 წლის წინათ. ეს უნდა აღდგეს ჩვენ ხალხებს შორის ნდობასთან ერთად“,** – განაცხადა საქართველოს პრემიერმა.

### „მიუღებელი პოლიტიკა“

**საქართველოს ექს-პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ოპოზიციური პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა საქართველოს ხელისუფლების რეაქციას არასაკმარისად მიიჩნევს აფხაზეთის ანექსიის პრობლემისადმი საერთაშორისო ყურადღების მიპყრობის თვალსაზრისით და აპირებს თბილისის ცენტრში მოაწყობს მასშტაბური აქცია.**

**„ეს იქნება საზოგადოებრიობის რეაქცია რუსეთის ხელმძღვანელობის აგრესიულ მოქმედებებზე. ამას გარდა, ჩვენთვის მიუღებელია ჩვენი ქვეყნის მოქმედი მთავრობის დუმილის პოლიტიკა“,** – განაცხადა 3 ნოემბერს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა.

თავის მხრივ, მმართველი კოალიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ოპოზიციის ბრალდება მიუღებელია. უფრო მეტიც, პრემიერმა ღარიბაშვილმა თავის კომენტარებში ბრალი დასდო ერთიან ნაციონალურ მოძრაობას პროვოკაციის დაგეგმვაში.

**„ის, რომ მათ რეალურად არ შესტკივათ გული არც აფხაზებზე, არც ჩვენს ქვეყანაზე, არც ჩვენს მოქალაქეებზე, ეს, ვფიქრობ, ახალი ამბავი არ არის. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით: ეს მათი დამსახურებაა, რომ აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი რუსეთის მიერაა ოკუპირებული... რასთან დაკავშირებით უნდა გამართონ აქცია? მათ აქცია თავიანთ თავს უნდა მოუწყონ“,** – განუცხადა ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს.

შეგახსენებთ, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომის შედეგად რუსეთმა აღიარა საქართველოს ორი რეგიონის – აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის – დამოუკიდებლობა და თავის ბაზებზე გადაისროლა ჯარები და შეიარაღება. მსოფლიოს ყველა ქვეყანა – გარდა ვენესუელისა, ნიკარაგუასა და ნაურუსი – ამ რეგიონებს მიიჩნევენ საქართველოს ტერიტორიად, რომლებიც რუსეთის მიერაა ოკუპირებული.

Voice of America

## დედამიწის ზურგზე



**ევროპული დიპლომატიის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ბედნიერი იქნებოდა, თუ მალე პალესტინის სახელმწიფოს აღიარებდნენ**

ფედერიკა მოგერინის სიტყვებით, რომელმაც ნოემბერში ამ პოსტზე კეტრინ ეშტონი შეცვალა, მას ძალიან სურდა, რომ ეს სახელმწიფო მსოფლიო რუკაზე გაჩნდეს მისი უფლებამოსილების პერიოდში. იგი მოუწოდებს ევროპის ქვეყნებს გადადგან ნაბიჯი ამ მიმართულებით.

* * *

**ვენესუელამ ჩამოაგდო თვითმფრინავი, რომელმაც ქვეყნის საჰაერო სივრცე დაარღვია**



ამის შესახებ განაცხადა ვენესუელის თავდაცვის მინისტრმა ვლადიმირ პადრინო ლოპესმა, რომელმაც თავის „ტვიტერში“ გამოაქვეყნა საჰაერო ხომალდის ნამსხვრევები. არიან თუ არა დაღუპულები, დაზარალებულები, აგრეთვე ნგრევები დედამიწაზე, სამხედრო უწყების ხელმძღვანელმა არ დააზუსტა. შესაძლებელია, ეს ბორტი ნარკომაფიას ეკუთვნოდა.

* * *

**ვაშინგტონი დაიმუქრა, რომ გააძლიერებს სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების არჩევნების აღიარების გამო**




თეთრ სახლთან არსებული უშიშროების საბჭოს წარმომადგენელმა ბერნადეტ მიხენმა განაცხადა, რომ „ყალბი არჩევნები ეწინააღმდეგებოდა უკრაინის კონსტიტუციას, კანონს სპეციალური სტატუსისა და საბაზო საარჩევნო ნორმებს“.

* * *

**„ისლამის სახელმწიფოს“ შეუერთდა ეგვიპტის ტერიტორიაზე ყველაზე სახიფათო ტერორისტული დაჯგუფება**

„ანსარ ბეიტ ალ-მაკდისის“ („იერუსალიმის პარტიზანები“) წევრებმა დაიფიცეს, რომ არიან „ისლამის სახელმწიფოს“ ერთგულები. ადრე ეგვიპტელი ბოევიკები რამდენჯერმე აქვეყნებდნენ ინტერნეტის ვიდეორგოლებზე თავისი ტყვეების დახვრეტას, როგორც ამას „ისლამის სახელმწიფო“ აკეთებს. ამ ცოტა ხნის წინათ ეგვიპტის სპეცსამსახურებმა გაშიფრეს უჯრედი, რომელიც „ისლამური სახელმწიფოსთვის“ ქირაობდა ახალგაზრდობას. მის სახელწოდებას არ აქვეყნებდნენ.



◉ წარდგინება

# რუსულად ამეტყველებული „გველის პერანგი“

**2014 წლის ოქტომბერი ჩვენი რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ გამორჩეულ დღედ უნდა ჩაითვალოს. ამ დღეს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დარბაზში (ივანე ჯავახიშვილის № 7) მოხდა გრიგოლ რობაქიძის რუსულად თარგმნილი უმთავრესი და უძლიერესი რომანის „გველის პერანგის“ წარდგინება. თავიდანვე უნდა აღინიშნოს — ტირაჟის სიმცირეზე თუ არ დავიჩივლებთ (100 ცალი), ქართული ხუროთმოძღვრების უძველესი ორნამენტებით დამშვენებული წიგნი პოლიგრაფიული თვალსაზრისითაც ფრიად მიმზიდველია.**



კამილა კორინთელი

კარგა ხნის წინათ, ჩვენი შესანიშნავი პოეტისა და ლიტერატორის კამილა-მარიამ კორინთელის მიერ სამაგალითო შთაგონებით ნათარგმნი ეს რომანი 1991 წელს გამოქვეყნდა „ლიტერატურნაია გრუზიაში“, მაგრამ იმ ჯოჯოხეთური ქაოსის ჟამს მის წიგნად გამოცემაზე მხოლოდ ოცნება თუ შეიძლებოდა.

ამ ოცნებას ახლახან ფრთები შეასხა ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ, რუსეთის ფედერაციის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „რუსული კლუბის“ პრეზიდენტმა (იგი ამავე დროს გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის




მეტად უნარიანი დირექტორიცაა), ბატონმა ნიკოლოზ სვენტიცკიმ, ვინც დაუცხრომლად და ნაყოფიერად იღვწის, რათა ქართული კულტურის, ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების უთვალსაჩინოესი მიღწევები, რუსული ენის მეშვეობით, საერთაშორისო ასპარეზზე იქნეს გატანილი.

ხსენებულ წარდგინებაზე შესავალი სიტყვა მანვე წარმოთქვა, კამილა კორინთელის ნაშრომი შეაფასა, როგორც ლიტერატურული გმირობა და აღნიშნა, რომ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მხარდაჭერით გამოცემული და რუსულად ასე დიდოსტატურად თარგმნილი „გველის პერანგი“ ხანგრძლივი სიცოცხლისთვის არის განკუთვნილი, საყოველთაო მოწონებას დაიმსახურებს, მტკიცედ დაიმკვიდრებს თავის ადგილს მსოფლიო მწერლობაში.

საღამოს კეთილგანწყობილად, შიგადაშიგ მარჯვე, მოხდენილი იუმორით უძღვებოდა, ახალისებდა უზარმაზარი გამოცდილების მთარგმნელი (მარტო რაბლეს გრანდიოზულ რომანთან მრავალწლიანი შეჭიდება რად ღირს!) და უზადო გემოვნების ლიტერატორი, ჩვენი გამოჩენილი ჟურნალისტი გურამ გოგიაშვილი.

მან ილაპარაკა, თუ რა აურაცხელი დაბრკოლებები ელობებოდა გრიგოლ რობაქიძის ამ მეტად თავისებური, ურთულესი რომანის მთარგმნელს და დასძინა, რომ კამილა კორინთელმა ყველა ეს სიძნელე ღირსეულად დაძლია, რუსულ ენაში შეუმცდარად დაძებნა შესატყვისი გამოსახვის საშუალებანი და „გველის პერანგს“ დედნის ინტონაცია, სინტაქსური წყობა და ჟღერადობა შეუნარჩუნა.

საღამოზე გამომსვლელები აღფრთოვანებას და მადლიერების გრძნობა ვერ მალავდნენ კამილა კორინთელის მიმართ, ვინაც წლევანდელ „თბილისობას“ ასეთი მშვენიერი ნობათი უძღვნა.

ერთმანეთს ცვლიდნენ პოეტი მზია ხეთაგური, ქართულ ენაზე სომხური პოეზიის დიდებულად მთარგმნელი და თავადაც პოეტი გივი შაჰნაზარი, გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების ღრმად მცოდნე, თვალსაჩინო პუბლიცისტი და მწერალი თენგიზ ჩხაიძე, ცნობილი პოეტი, ლიტერატორი, მთარგმნელი ვლადიმერ რამიშვილი, ისტორიკოსი და ჟურნალისტი მიხეილ სარაჯევი, ჩვენი ერთ-ერთი შესანიშნავი მთარგმნელი და პუბლიცისტი ზაალ ბოტკოველი, წარსულში გამომცემლობა „მერანის“ რედაქტორი მანანა სანადირაძე, პოეტი და ლიტერატურათმცოდნე ემზარ კვიტაიშვილი. საღამოს ესწრებოდა და ჭაბუა ამირეჯიბის ოჯახის სახელით მთარგმნელს ესოდენ სასურველი გამარჯვება მიულოცა დიდი მწერლის ქვრივმა, პოეტმა თამარ ჯავახიშვილმა.

ძალზე შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა ჟურნალ „რუსული კლუბის“ მთავარმა რედაქტორმა (იგი რუსულად გამოცემული „გველის პერანგის“ რედაქტორიც და იშვიათი ფოტოხელოვანიც გახლავთ) ბატონმა ალექსანდრე სვატიკოვმა, ვინაც ხაზგასმით აღნიშნა მთარგმნელის ძირითადი ღირსებები და გულწრფელი კმაყოფილება გამოხატა ამ უნიკალური, მრავალმხრივ საყურადღებო წიგნის რუსულ ენაზე გამოცემის გამო.

დასასრულ გამოვიდა თავად მთარგმნელი, ქალბატონი კამილა კორინთელი და ილაპარაკა, თუ რაოდენ დაძაბული და ხანგრძლივი შრომა დასჭირდა, რათა ტექსტს რამდენიმე სრულყოფილი, საბოლოო სახე მიეღო. მან სითბოსა და ყურადღებისთვის მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და სათითაოდ ყველას, ვინაც ამაგი დასდო ამ საკმაოდ ძვირად ღირებული პროექტის განხორციელებას.

**ემზარ კვიტაიშვილი**

◉ მოზაიკა

# თანამედროვე მონობის ფარული მექანიზმები




**იშვიათი გამონაკლისების გარდა, უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ მონობა შორეულ წარსულში დარჩა, ცივილიზებული სამყაროს მოქალაქეები კი სრულიად თავისუფლები არიან. არადა, სოციოლოგები აცხადებენ, რომ ეს ასე სულაც არ არის, რასაც სათანადო არგუმენტაციით ამტკიცებენ.**

✱ მუდმივად მუშაობის იძულების ეკონომიკური მეთოდი. თანამედროვე მონა იძულებულია სიკვდილამდე შეუჩერებლად იმუშაოს, ვინაიდან მის მიერ ერთ თვეში გამომუშავებული ფინანსური სახსრები საკვების, საცხოვრისის, კომუნალური მომსახურების გადასახადების, მგზავრობისა და სხვა ხარჯის ფული მას მხოლოდ ერთ თვეს ჰყოფნის. სწორედ ამის გამოა, რომ თანამედროვე მონა იძულებულია, სიცოცხლის ბოლომდე იმუშაოს. პენსიაც ასევე უდიდესი სიყალბეა: მონა-პენსიონერი მთელ სახსრებს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან რამეებზე ისე ხარჯავს, რომ თავისუფალი ფული აღარ რჩება.

✱ მონების მუშაობის იძულების მეორე ფარული მექანიზმი ფსევდოსაჭირო ნივთებზე მოთხოვნის შექმნაა. ეს ტელერეკლამის, პიარის, ასევე მაღაზიის ვიტრინების გარკვეულ ადგილებში საქონლის განთავსებაა, რაც ფსიქოლოგიაზე ზემოქმედებს. თანამედროვე მონა სიახლეების გაუთავებელ დევნაშია ჩაბმული, რის გამო იძულებულია გამუდმებით იმუშაოს.

✱ თანამედროვე მონების ეკონომიკური იძულების მესამე ფარული მექანიზმია საკრედიტო სისტემა, რომლის მეშვეობით ისინი სულ უფრო მეტად ეფლობიან „საკრედიტო ჭაობში“, რომელშიც „ჩამთრევ ძალას“ სესხზე პროცენტის მექანიზმი წარმოადგენს.

✱ მეოთხეა სახელმწიფოს შესახებ. თანამედროვე მონას მიაჩნია, რომ სახელმწიფოსთვის მუშაობას, სინამდვილეში კი იგი ფსევდოსახელმწიფოსთვის ირჯება, რადგან მონის ფული მონათმფლობელთა ჯიბეში მიდის, სახელმწიფოს ცნება კი მონის ტვინის დასაბინდად გამოიყენება. ამის მიზანი ის არის, რომ მონამ კითხვებით — რატომაა, რომ მონები მთელი სიცოცხლის მანძილზე მუშაობენ და მაინც მუდამ ღატაკები არიან? რატომ არ ერგებათ მონებს მოგების წილი? ვის ჯიბეში მიდის ფული, რომელსაც მონები გადასახადების სახით იხდიან და ა. შ. — არავინ შეაწუხოს.

✱ ფარული იძულების კიდევ ერთი მექანიზმია ინფლაცია. მონის ხელფასის მომატების გარეშე სასურსათო და არასასურსათო საქონელზე ფასების ზრდა, ფაქტობრივად, მონის ფარული ძარცვაა, რის შედეგად თანამედროვე მონა დღითი დღე სულ უფრო მეტად ღატაკდება.

✱ კიდევ ერთი ფარული მეთოდია მისთვის სამუშაოდ სხვაგან წასასვლელად საჭირო სახსრების წართმევა. ეს მექანიზმი თანამედროვე მონა აიძულებს აიტანოს მუშაობის არაადამიანური პირობები, ვინაიდან სხვა პირობები, უბრალოდ, არ არსებობს, მას კი არც სადმე გაქცევა შეუძლია.

✱ მონის უფასოდ მუშაობის იძულების მეშვიდე ფარული მექანიზმია მისი შრომის, ასევე მის მიერ წარმოებული საქონლის რეალური ღირებულების შესახებ ინფორმაციის არგამხელა. მას ასევე უმალავენ საბუღალტრო დარიცხვის იმ წილს, რომელიც მონათმფლობელს მიაქვს იმის წყალობით, რომ მონამ არაფერი იცის დამატებული ღირებულების შესახებ და რომელზეც სათანადო კონტროლი არ არსებობს.

✱ საიმისოდ, რომ მონამ მოგების თავისი, ასევე მამების, პაპებისა და ა. შ. შრომის შედეგად მიღებული მოგების წილი არ მოითხოვოს, კიდევ ერთი მექანიზმია მონათმფლების მიერ რესურსების ძარცვის ფაქტების მიჩუმათება, რომლებიც მთელი ამ დროის მანძილზე მონების თაობებმა შექმნეს.

# თუ ღვიძლი გაწუხებთ...




**ორგანიზმში რკინის სიჭარბე მის ნაკლებობაზე გაცილებით მავნეა.**

სისხლში რკინის ჭარბი ოდენობა ღვიძლში ანთებით პროცესებს აძლიერებს და ციროზის წარმოშობას პროვოცირებს. ამიტომ ალკოჰოლიანი სასმელების მოყვარულებს, რომლებიც ჰეპატიტებითა და ფიბროზებით არიან დაავადებულნი, ექიმები რკინის მდიდარი საკვების, უწინარესად ხორცის მოხმარებისგან თავის შეკავებას ურჩევენ.

# რატომ კვნესიან ქალები?

**რატომაა რომ ინტიმური ურთიერთობების დროს ქალები მამაკაცებზე გაცილებით მეტად კვნესიან? ამის მიზეზთა კვლევისას მედიკოსებმა დაადგინეს, რომ:**

✱ სექსის დროს კვნესა არტერიულ წნევას 50 პროცენტით ქვევით სწევს, ასევე სისხლში იკლებს ნახშირმჟავე გაზის შემცველობა — ყველაფერი ეს თავის ტვინზე მოქმედებს;

✱ ნახშირმჟავე გაზთან ერთად, სისხლში ასევე მცირდება სტრესის გამომწვევი ჰორმონების დონე, იცვლება კუნთებისა და ნერვების აქტივობა;

✱ კანი უფრო მგრძნობიარე ხდება, მატულობს შეხებისა და სუნის აღქმის უნარი;

✱ ამ დროს ემოციები ჭარბობს, ჭირს საკუთარი თავის კონტროლი. ყველაფერი ეს ხელს უწყობს ინსტინქტების მოთოკვას, სქესობრივი აქტის დასრულებასა და შთამომავლობის გაგრძელების შანსებს ზრდის.

✱ მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ქალებსაც და მამაკაცებსაც სუნთქვა ეცვლებათ, თუმცა, ქალებს გაცილებით მეტად. ფილტვების ჰიპერვენტილაცია შეგრძნებასა და აღგზნებას აძლიერებს.

# სუფთა ჰაერი... ქილიდან

**რამდენიმე წლის წინათ ჩინელმა ბიზნესმენმა, ცნობილმა ფილანტროპმა ჩენ გუანბაომ გასაყიდად სუფთა ჰაერიანი შიგთავსის... ქილები გამოუშვა.**



საქმოსნის მტკიცებით, ქილებში ჩინეთის ძველი რევოლუციური რეგიონების — ძინგანშანისა და იანიანის სუფთა ჰაერია „დაფასოებული“, ერთი ქილის ფასი 5 იუანია.

ჩენ გუანბაოს განცხადებით, ამ კომერციული ნაბიჯის მიზანი ქვეყნის სუსტად განვითარებულ რაიონებს განვითარების, აგრეთვე გარემოს დაცვის აუცილებლობის იდეების პოპულარიზაციაში დახმარების გაწევაა.

ბიზნესმენის ეს ნაბიჯი ზოგმა ექსცენტრულად ჩათვალა და საკუთარი პერსონალისადმი საზოგადოებრივი ყურადღების მიპყრობის მცდელობად აღიქვა.

◉ კარატე




# მედლები ჰაიასტანიდან

**ახლახან ერევანმა მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის (W.S.K.F.) ეგიდით გამართულ V საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა კარატეში (მთავარი მსაჯი — ამავე ფედერაციის უფროსი ინსტრუქტორი, IX დანის მფლობელი, იაპონელი ჰიტოში კასუია).**

პრესტიჟულ ასპარეზობაში საქართველოს, სომხეთის, მთიანი ყარაბაღის, ირანისა და რუსეთის 1500-მდე ჭაბუკი მონაწილეობდა, რომლებმაც საპრიზო ადგილები 8 ასაკობრივ ჯგუფში გაითამაშეს.

ჩვენი 10-კაციანი დელეგაცია მეზობელი ქვეყნიდან 4 მედლით დაბრუნდა, რაც, დაგვეთანხმებით, ჩინებული შედეგია. განსაკუთრებით გვასახელა ქუთაისელმა თამაზ გოჩელაშვილმა (-65 კგ), რომელიც 16-17-წლიანთა ინდივიდუალურ კუმიტეში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, ხოლო ინდივიდუალურ კატაში III ადგილი დაიკავა.



ახალგაზრდა მწვრთნელ-ინსტრუქტორის, IV დანის მფლობელის გოჩა კეზევაძის კიდევ ერთმა შეგირდმა ლაზარე კალმახელიძემ (+45 კგ) 12-13-წლიანთა ინდივიდუალურ კუმიტეში „ვერცხლი" მოიპოვა, საქართველოს შოტოკან კარატე-დოს კონფედერაციის უფროსი ინსტრუქტორის, V დანის მფლობელის მზეჭაბუკ მახარაძის აღზრდილი თენგიზ მაზმიშვილი (+55 კგ) კი 14-15-წლიანთა ინდივიდუალურ კუმიტეში „ბრინჯაოს" დაეუფლა.

**გიორგი შოთაძე**

◉ პროფესიული კრივი

# „ტორნადომ" ამერიკელს გადაუარა

**ქართველმა პროფესიონალმა მოკრივე ავთანდილ ხურციძემ („ტორნადო") პროფესიულ რინგზე 33-ე შეხვედრა გამართა. ჰოლივუდის „ფლორენტინ გარდენში" მისი მეტოქე იყო მასპინძელი ედი ჰანტერი.** ჩვენებურმა ამერიკელი მე-5 რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა. ხურციძემ 33 შეხვედრაში 29 გამარჯვება (18 — ნოკაუტით) მოიპოვა, ორი ორთაბრძოლა ფრედ დაასრულა და ამდენივეში მარცხი იწვნია. ქართველი მოკრივე 34-ე პაექრობას 2015 წლის იანვარში გამართავს.

**გივი გაგუა**




◉ მძლეოსნობა

# აზარაშვილის თასი მერვედ გათამაშდა

**სამეგრელო-ზემო სვანეთის მძლეოსნობის სამხარეო ფედერაციის (პრეზიდენტი რეზო ბუკია) ინიციატივით მარტვილში ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგეობისა (გამგებელი ალექსანდრე გრიგალავა) და კომპლექსური სასპორტო სკოლის (დირექტორი თეოფილე ბჟალავა) მხარდაჭერით მერვედ გათამაშდა სახელოვანი სპრინტერის, სეულის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორის, საბჭოთა კავშირის ჩემპიონისა და თასის მფლობელის, საქართველოს მრავალგზის რეკორდსმენის, „სპორტის რაინდ" მაია აზარაშვილის თასი. უამინდობის მიუხედავად, შეჯიბრებაში (სამი ასაკი) ზუგდიდის, ჩხოროწყუს, ხობის, მარტვილის, წალენჯიხის, წყალტუბოს 100-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.**

**საპრიზო ადგილებზე გავიდნენ:**

**2000-2002 წლებში დაბადებულნი. გოგონები. 300 მ.** 1. ბელა ჭკადუა (ზუგდიდი), 2. ელენე კუპრავა (მარტვილი), 3. მარიამ ბერანძე (ზუგდიდი). **ბიჭები 500 მ.** 1. ირაკლი გელანტია (ზუგდიდი),



2. დამე გვარამია, 3. დათო მარშანია (ორივე- წყალტუბო).

**1998-1999 წ.წ. დაბადებულნი. გოგონები. 500 მ.**



1. ბელა ჭკადუა (ზუგდიდი), 2. ელენე კუპრავა (მარტვილი), 3. ელენე ხურცილავა (ჩხოროწყუ). **ბიჭები. 600 მ.** 1. დავით ჭედია (ზუგდიდი), 2. გიორგი ახალაია (ხობი), 3. დიმა მიქავა (წალენჯიხა).

**უფროსი ასაკი. ქალები. 1000 მ.** 1. მეგი ქარდავა (ჩხოროწყუ), 2. ელისო დანელია (მარტვილი), 3. მარიამ ჩხენკელი (ხობი), **ვაჟები. 2000 მ.** 1. გოგა ცხადაია (ხობი), 2. ვეფხვია ჩიტაია, 3. თედო უბირია (ჩხოროწყუ).

**გუნდური.** 1. ზუგდიდის II გუნდი, 2. ჩხოროწყუ, 3. ხობი.

გამარჯვებულები და პრიზიორები მაია აზარაშვილმა და ალექსანდრე გრიგალავამ მედლებით, თასებით, სპორტული ჩანთებითა და მაისურებით დააჯილდოვეს, ხოლო ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულმა და ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონმა რომან რურუამ პირველადგილოსნებს თავისი ფაბრიკის ნაწარმი — სპორტული პიჟამოები გადასცა.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათებზე: ასპარეზობის მომენტი; რომან რურუა და მაია აზარაშვილი შეჯიბრების ორგანიზატორებსა და პრიზიორებთან ერთად.**

**ავტორის ფოტო.**

◉ მემორიალი

# უკვდავების ბინადარნი

**ერთი თვის განმავლობაში გრძელდებოდა თბილისის „დინამოს" ლეგენდარული კაპიტნების ბორის პაიჭაძისა და ავთანდილ ღოღობერიძის მემორიალი მინიფეხბურთში, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ეგიდითა და ამავე უმაღლესი სასწავლებლის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორის ზაურ ფხალაძის და აღნიშნული ცენტრის თანამშრომლის, თსსუ საფეხბურთო ნაკრების მწვრთნე-**





**ლის, სპორტის დამსახურებული მოღვაწის, ხსოვნის ტურნირის მთავარი მსაჯის ვახტანგ ბაქანიძის თანადგომით მოეწყო.**

**გაუწყებთ 16 გუნდის მონაწილეობით გამართული ღონისძიების დასკვნითი შეხვედრების შედეგებს:**

**ნახევარფინალი:** „ზევსი" — „რეალი" 7:5, „სელესაო" — „ადრენალინი" 6:4.

**მატჩი III ადგილისთვის:** „ადრენალინი" — „რეალი" 8:6.

**ფინალი.** „სელესაო" — „ზევსი" 5:5 (ძირითადი დრო 3:3). პენალტებით — 7:6.

მემორიალის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა გამარჯვებული გუნდის კაპიტანი, ჯანდაცვის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი გიგა იკაშვილი. მასთან ერთად ჩემპიონის სპორტულ ღირსებას იცავდნენ გიორგი ნოზაძე, ლაშა ოსეფაშვილი, გიორგი ვალიშვილი, ლუკა ჭელიძე, ლუკა კალაძე, ალექსანდრე ბერიძე, შოთა ჩხეიძე და სულიკო ბროლაძე.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ ინტერნეტიდან

## გზა საყვარლობაზე გადის

**ურუგვაელი ლამაზმანი, მოდელი ვიქტორია სარავია, რომელიც ერთ დროს თანამემამულე ფეხბურთელის დიეგო ფორლანის სატრფოდ ითვლებოდა, ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, რომ ფორლანთან მისი ოდინდელი თანაცხოვრება პოპულარობის სურვილით იყო განპირობებული.**

ვიქტორია სარავიას თქმით, მის სამშობლოში ყველა მოდელი ცდილობს რაიმენაირად მოახერხოს და ცნობილ ფეხბურთელებს ჩაუგორდეს სარეცელში, რაც შემდგომში მათი პოპულარობის მიზეზი შეიძლება გახდეს. ვიქტორიას აღიარებით, დიეგო ფორლანთან საქმეც სწორედ ამიტომ დაიჭირა.

„ახლა ურუგვაიში საკმაოდ პოპულარული მოდელი ვარ და რამდენიმე კომპანიის სარეკლამო სახესაც წარმოვადგენ. ამ ყველაფერის იმას უნდა ვუმადლოდე, რომ თავის დროზე ფორლანთან მქონდა ურთიერთობა. რას ვიზამთ, დღეს პოპულარობა ასე მიიღწევა", — ამბობს მშვენიერი ვიქტორია.

**როსტომ რაჭველიშვილი**



პოეზია

# მტკივანი გულის ამონაძღერი

### შემოდგომა

შემოდგომა ოქროს რთველი,
ზურმუხტი და ლალები,
საპატარძლოდ მოსართველი,
ეშხიანი ქალები.

ნეტავ კარგო შენი პეშვით,
ღვინო დამალევინა,
მერე მომკლა შენი ეშხით,
სული დამალევინა.

### ვერაფერს ვერ შევადარე

სად არ ვიარე, სად არ მაწვიმდა,
სამშობლოს ტრფობა უბით ვატარე,
ვერა, ვერაფერს ვერ შევადარე,
ჩემი გელათი, ჩემი მთაწმინდა.

სად არ მხიბლავდნენ ლამაზმანები,
შენი ხატება სულ თან ვატარე,
ვერა, ვერაფერს ვერ შევადარე,
ასე ლამაზი შენი თვალები.

* * *

ქართლ-კახეთო, სიზმარეთო,
ვაზო, მოსაფერებო,
იმერეთო სიმღერეთო,
გაზაფხულის ფერებო,

გურიავ და სამეგრელოვ,
გულის გულში ჩარგულო,
აფხაზეთო, ვაი ღმერთო,
რა შორს გადაკარგულო.

### გულისტკივილით

გულისტკივილით გყვედრი ქართველო,
რომ არც შენა ხარ ცამდე მართალი,
მაშ რად ისჯება დღეს საქართველო,
რატომ დადუმდა ღვთის სამართალი?

ჩვენით გვჭირს, რაც გვჭირს,
ხალხო ქართველო,
ვერ გავარჩიეთ მტყუან-მართალი,
მიტომ ცოდვილობს დღეს საქართველო,
ცხინვალ-აფხაზეთჩამონათალი.

### მეზობელო კარისაო...

გული მტკივა, ნეტავ ასე რად ხდება,
ავკაცების ნატვრა ხომ არ ახდება?
ჩვენი ძმობა ნუთუ ისე წახდება,
ჩემი მტერი შენი დოსტი გახდება?

### არ გრცხვენიათ?!

ქართველებო, ნუ ვართ როგორც ნაგაზები,
რით ვერ მოვრჩით ერთმანეთის ჭამას,
ჩვენი ძმები ოსები და აფხაზები
არ გრცხვენიათ, რომ უცქერენ ამას?

არ თავდება შემზარავი მკვლელობები,
რა დააშრობს თვალებს, ცრემლით ნაბანს,
ჩვენი მტრები მოყვრები თუ მეზობლები
არ გრცხვენიათ, რომ უცქერენ ამას.

### ქართველების გასაჭირი

„ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის“

ქართველების გასაჭირი,
განა მარტო „ფარაშია“,
მტრობაშია ჩვენი ჭირი,
მოშურნეთა ფარაშია.

ვინ მოთვალოს ქართლის ჭირი,
ხან რაშია, ხან რაშია,
„სხვისი ჭირი ღობეს ჩხირი“
ძველებურად ძალაშია!

### თქვენ და ჩვენ

(პენსიონერის გულისტკივილი)

თქვენი ოცნება ასრულდა,
გაგიჩნდათ კაცი მაშველი,
ჩვენი ოცნება დასრულდა,
არც დაგვადგება საშველი?!

* * *

თუ დავრჩით ფუჭი ფიქრებით,
ბალიშზე თავდადებული,
მაშინ ხომ კვლავაც ვიქნებით,
სულ ასე „გადაგდებული“.

**გურამ ჭავჭანიძე**

„შენ მუზა ხარ!“

# თბილისის სიყვარულით შთაგონებული კონცერტი

**ნამდვილი სიყვარული მოგონებებითაც მოწმდება. რაც უფრო ძლიერია სიყვარული, მით უფრო მძაფრი, ამაღელვებელი და გულწრფელია მოგონებებიც. სწორედ ასეთი განწყობით იყო შთაგონებული თბილისობის დღესასწაულის ფარგლებში კომპოზიტორთა კავშირის მცირე დარბაზში ჩატარებული კონცერტი „თბილისო — შენ მუზა ხარ!“. ამ დევიზში კარგად იყო დაკონკრეტებული კონცერტის მიზანი — წარმოეჩინა ჩვენი საყვარელი ქალაქის მიმართ თანამედროვეთა სიყვარული, თაყვანისცემა და ის მონატრება, რომელიც ძველი და საშუალო თაობის მოგონებებშია დალექილი.**

თბილისი, როგორც უმდიდრესი ისტორიული წარსულის მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი, ყოველთვის გამოირჩეოდა თვითმყოფადობით, მისთვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებებით, ზნეობრივი და მორალური ღირებულებების თავისებურებებით და კულტურული იერსახით. თბილისი იყო მრავალი კომპოზიტორის, მწერლის, პოეტისა თუ მხატვრის შთაგონების წყარო. სწორედ ამაზე ისაუბრა კონცერტის ორგანიზატორმა და წამყვანმა, თბილისის მუსიკალურ წრეებში კარგად ცნობილმა მელომანმა და კოლექციონერმა ალექსანდრე პირადოვმა. წარსულში ცნობილი ინჟინერი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, უკვე რამდენიმე წელია, დაკავებულია კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობით და მუდმივად აწყობს კონცერტებსა და საღამოებს, რომლის მთავარი მიზანია ქართულ-სომხური კულტურული ურთიერთობების ხელშეწყობა და ახალი რაკურსით მათი წარმოჩენა.

ამჟამადაც კონცერტის მთავარი ღერძი გახდა იდეა — შექმნილიყო თბილისში მცხოვრები სომეხი პოეტის ანაიდა ბოსტანჯიანის ტექსტებზე ქართველი კომპოზიტორების სიმღერები. და მართლაც კონცერტზე შედგა ოთხი ახალი სიმღერის პრემიერა. ესენია გიორგი შავერზაშვილის „სიყვარულით თამაში“, კახა ცაბაძის „თბილისო, გიმღერი“, ანრი მერაბოვის „ღალატი“ და ვაჟა აზარაშვილის „ერთადერთო“.

ქალაქური სიმღერის სტილში შექმნილი ეს სიმღერები შეასრულეს თბილისის სომხური თეატრის მსახიობმა გენრიხ პეტროსიანმა, მომღერლებმა ეკა ხოშტარიამ და ვილი გრიგორიანმა.

მართალია, კონცერტის ქვაკუთხედი სიმღერების პრემიერები იყო, მაგრამ საღამოს ორგანიზატორის ალექსანდრე პირადოვის მცდელობით შეხვედრამ უფრო ფართო ხასიათი შეიძინა, ის გაჯერებული იყო საინტერესო მუსიკალური ნომრებით, რომელშიც ისევ და ისევ აისახებოდა ის მჭიდრო კავშირები, რომელიც საუკუნეების მანძილზე ქართველებსა და სომხებს შორის არსებობს. ეს იყო ქართველი და საქართველოში დაბადებული სომეხი კომპოზიტორების ნაწარმოებები, რომლებსაც ასევე ქართველი და სომეხი შემსრულებლები ასრულებდნენ.

კონცერტზე აჟღერდა არამ ხაჩატურიანის ულამაზესი „ადაჟიო“ ბალეტიდან „სპარტაკი“, რომელიც შეასრულა სწორედ ამ კონცერტისათვის სპეციალურად შექმნილმა ტრიომ. მის შემადგენლობაში იყვნენ მარიანა ასრიევა (ვიოლინო), გიორგი ჯორჯაძე (ვიოლონჩელი) და გიორგი შავერზაშვილი (ფორტეპიანო). მარიანა ასრიევამ ვირტუოზულად შეასრულა ასევე არამ ხაჩატურიანის „უზუნდარა“.



კონცერტის პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებს. გაჟღერდა გიორგი შავერზაშვილის საფორტეპიანო ნაწარმოები „პასაკალია“, რომელიც შეასრულა მისმა ქალიშვილმა, ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლემ, ა. სკრიაბინის სახელობის საერთაშორისო კონკურსის პირველი პრემიის ლაურეატმა (პარიზი) ელენე შავერზაშვილმა. მისი სახით ქართულ პიანისტურ სკოლას ღირსეული წარმომადგენელი ეზრდება.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლემ, ახალგაზრდა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა სერგეი მარკოსიანმა შეასრულა ოთარ თაქთაქიშვილის „პოემა“. მისმა მუსიკალურად დახვეწილმა, ტექნიკურად გამართულმა და ემოციურად სისხლსავსე შესრულებამ ისეთი მოწონება დაიმსახურა, რომ მან ბისზე დაუკრა ს. რახმანინოვის ეტიუდ-სურათი „წითელქუდა“.

კონცერტში მონაწილეობა მიიღო საფორტეპიანო დუეტმა, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატებმა კრისტინა და რეგინა მეირაბოვებმა, რომლებმაც ბრწინვალედ შეასრულეს ვაჟა აზარაშვილის ოთხი ხელისათვის დაწერილი ორი პიესა.

კონცერტი ემოციურად დამუხტა ვილი გრიგორიანის მიერ ებრაული მუსიკალური ფოლკლორის ცნობილი სიმღერების „ჰავანა გილას“, „შალომის“ და სხვათა შესრულებამ, მთელი დარბაზი აიყოლია და კონცერტის მსვლელობას უფრო უშუალო ელფერი შესძინა. მას არც შესანიშნავი პიანისტი ანრი მეირაბოვი ჩამორჩა, რომელმაც ცეცხლოვანი ტემპერამენტით შეასრულა ძველი თბილისის მელოდიების პოპური. კონცერტის კულმინაციად იქცა ვაჟა აზარაშვილის მიერ საკუთარი სიმღერების შესრულება: ყველასათვის საყვარელი და ნაცნობი „დღეები მიდიან“, „სიმღერაა მთელი ჩემი ქონება“, „პატარა გოგონა“. მან ეს სიმღერები ისეთი შემართებით, გრძნობით და ემოციით შეასრულა, რომ დარბაზს დაშლა აღარ უნდოდა. მხურვალე აპლოდისმენტებით ისინი მადლობას უხდიდნენ შემსრულებლებსა და ორგანიზატორს ასეთი თბილი და საინტერესო საღამოსათვის.

**თინა ღვინერია**

№04.11.2014-ვ2-01

**ნინო ჩანტლაძეს** (მესაკუთრე)
პირადი №01024037246
მცხოვრები: თბილისი,საბურთალო,
ჟიული შარტავას № 41 ა

**მოთხოვნა/შეტყობინება**

2014 წლის 4 აპრილს დადებული №041413017 სესხისა და გირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ნოვა კრედიტსა“ და გოგა ქოჩორაშვილს შორის 2014 წლის 4 აპრილს დადებული №041413017 სესხისა და გირავნობის ხელშეკრულების თანახმად სესხის უზრუნველსაყოფად დაგირავებული იქნა ავტომანქანა „ბმვ 325I“, (საიდენტიფიკაციო № WBAVB13566KX50722 გამოშვების წელი — 2005 ფერი — თეთრი სახელმწიფო სანომრე ნიშნით CHA717) ,რომელიც ამჟამად თქვენს საკუთრებაშია. ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით, გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო გოგა ქოჩორაშვილის დავალიანება შპს „ნოვა კრედიტის“ წინაშე 2014 წლის 4 ნოემბრის მდგომარეობით შეადგენს 4,417.95 აშშ დოლარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე **მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გადმოგვცეთ მფლობელობაში** გირავნობის საგანი - სატრანსპორტო საშუალება „ბმვ 325I“ (საიდენტიფიკაციო № WBAVB13566KX50722 გამოშვების წელი — 2005 ფერი — თეთრი სახელმწიფო სანომრე ნიშნით CHA717)

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად თქვენ ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოთ ჩვენი მოთხოვნა გირავნობის საგნის მფლობელობაში გადმოცემის შესახებ.

მოთხოვნის ორი კვირის ვადაში დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258[1]-ე მუხლის შესაბამისად მივმართავთ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს გირავნობის მოწმობის გასაცემად. განგიმარტავთ, რომ გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, რომლითაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გარემოებების არსებობისას მოგირავნეს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს) გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დაგირავებული ნივთის მის მფლობელობაში გადაცემა.

ამასთან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 282-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გატყობინებთ, რომ ზემოთ აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების შპს „ნოვა კრედიტზე“ გადმოცემის შემდეგ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 283-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 2014 წლის 4 აპრილს დადებული №041413017 სესხისა და გირავნობის ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.2.3 პუნქტის შესაბამისად შპს „ნოვა კრედიტის“ მიერ განხორციელდება სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია პირდაპირი მიყიდვის გზით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 2601 მუხლის და 2014 წლის 4 აპრილს დადებული №041413017 სესხისა და გირავნობის ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.2.2 პუნქტის შესაბამისად სატრანსპორტო საშუალება გადმოვა შპს „ნოვა კრედიტის“ საკუთრებაში.

**პატივისცემით,**
**შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია**
**„ნოვა კრედიტის“ დირექტორი**
**მელორი ასათიანი**

ტელ: 2 15 1 5 15
ტელ: 2 340 940

თარიღი: 04.11.2014

**ანზორ ბურჯანაძე ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს უახლოეს მეგობარს გრიგოლ (გრიშა) ონიანს მეუღლის, უსათნოესი ქალბატონის**

**ლიანას**

**გარდაცვალების გამო.**

**მარინა კანდელაკი, ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია გულწრფელად თანაუგრძნობენ ბატონ გრიგოლ ონიანს ძვირფასი მეუღლის**

**ლიანა იამანიძე-ონიანის**

**გარდაცვალების გამო.**

**ოთარ ფაცაცია, ნოდარ ჭითანავა, ბონდო ჯიქია, ვაჟა აბაკელია, ოთარ ჭითანავა სამძიმარს უცხადებენ გრიშა ონიანს მეუღლის**

**ლიანა იამანიძის**

**გარდაცვალების გამო.**

**რეკლამა**
**299-62-77;**
**568 82-09-84.**

◉ შუბის ბედისწერა

# რომაელ მებრძოლსა და მის იარაღს შეუძლიათ პოლიტიკაზე გავლენა მოახდინონ?

**ამ ცოტა ხნის წინათ, კერძოდ 29 ოქტომბერს მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღნიშნა იმ ადამიანის ხსოვნა, რომელმაც უშუალო მონაწილეობა მიიღო ქრისტეს წამებაში. უფრო მეტიც, ამ ადამიანმა აღმართა ხელი ძეზე უფლისა.**

**თუმცა, როგორც წმინდა წერილი გვიმოწმებს, უკვე გარდაცვლილზე. „იესოსთან მისულებმა როცა დაინახეს, რომ უკვე მომკვდარიყო, აღარ დაუმტვრიეს წვივები. მაგრამ ერთმა ჯარისკაცმა შუბით გაუგმირა მას ფერდი და მყისვე გადმოსკდა სისხლი და წყალი“. ამ ჯარისკაცის სახელი იყო — ლონგინოსი.**



### სასწაული სისხლზე...

**რატომაა, რომ ეს ჯარისკაცი სახელად თუ ზედმეტსახელად ლონგინოსი — მკვლელი! — ითვლება წმინდანად? იმ მომენტში, როდესაც ბრძანების შესრულების დროს ამ ნახევრად უსინათლო ვეტერანს შემთხვევით მოხვდა „სისხლი და წყალი“, მას მოულოდნელად თვალი აეხილა. და ირწმუნა. და დაიწყო უსასიზღრესი სიკვდილით დასჯილის დიდება, როგორც ჭეშმარიტი უფლისა.**

ქრისტეს სისხლი... ჩვეულებრივად მას გრაალს უკავშირებენ. ესე იგი თასს, რომელშიც, გადმოცემის თანახმად, შეაგროვეს ქრისტეს სისხლი მისი გარდაცვალების შემდგე. აი, ასე იგი ითვლება რაღაც საშუალოდ ბარაქასა და უნივერსალურ წამალს შორის, რომელიც კურნავს ყველა დაავადებას, მათ შორის სიბერესაც. თუ იგი გექნება, შენ იქნები მაძღარიც, უკვდავიც. მიზეზი — იგივე სისხლი.

მაგრამ ხშირად ივიწყებენ, რომ რამდენიმე წამით ადრე ამ წმინდა სუბსტანციას შეეხო რომაელი ცენტურიონის შუბი. მართლმადიდებელი ეკლესია ამ შემთხვევაში მოიქცა სავსებით ადეკვატურად. ყოველ ჩვენ ტაძარში სიმბოლურად არის ლონგინოსის შუბი. ესაა პატარა სამკუთხა დანა, რომლითაც ლიტურგიის დროს მღვდელი განწმენდილ უფარი პურიდან ამოჭრის ქრისტეს სხეულს. დანას ასეც ეწოდება — შუბი.

### ...თუ ომი?

**სხვა საქმეა — კათოლიკეები. იქ, დასავლეთში, ეძებდნენ სწორედ იმ შუბს. და თითქოს იპოვეს კიდეც. ყოველი ბრძოლა, რომელიც ხდებოდა მისი დახმარებით, აღიქმებოდა, როგორც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ეტაპი ევროპის ცხოვრებასა და განვითარებაში.**

ბედისწერის შუბის პირველი გამოვლინება იყო — ბრძოლა მილღვიუსის ხიდთან 312 წელს. საინტერესოა, რომ ეს ბრძოლა მოხდა ლონგინოსის სწორედ ხსენების დღეს. მაშინ ორი ადამიანი, კონსტანტინე და მაქსენციუსი, იბრძოდა რომის იმპერატორის წოდებისათვის. გაიმარჯვა კონსტანტინემ. სწორედ მან გახადა ქრისტიანობა იმპერიის სახელმწიფო რელიგიად, შემდეგ კი მთელი ევროპისაც. მიაჩნიათ, რომ შუბი მას ჰქონდა.

შემდეგი გამოვლინება იყო — ბრძოლა კატალაუნის ველებზე 451 წელს. გოთების მეფემ თეოდორიხმა შუბის წყალობით შეაჩერა ჰუნების ურდოები — აზიელებისა, რომლებიც მზად იყვნენ, შეჭრილიყვნენ ევროპის შუაგულში.

შემდეგი იყო ფრანკების ბელადი კარლ მარტელი. მისი ჯარები არ იყო მრავალრიცხოვანი. მაგრამ იმის იმედით, რომ ჰქონდა ბედისწერის შუბი, გაბედა ჩართულიყო ბრძოლაში მავრებთან (არაბებთან) 731 წელს პუატიეს მიდამოებში. ამჟამად ამ ბრძოლის შესახებ არ საუბრობენ, მაგრამ ოდესღაც ამბობდნენ: „რომ არა პუატიე, ამჟამად ოქსფორდში ყურანის სწავლით იქნებოდნენ დაკავებულიო“.

მის კვალზე მოდის კარლოს დიდი. „ფრანკების ქრონიკაში“ ამ ეპიზოდის შესახებ არის ჩანაწერი: „მან თავისი იმპერია ააგო წმინდა შუბის ძალით, რომელმაც მიანიჭა მას ბედისწერის მართვის უნარი“.

შემდეგი — რომის წმინდა იმპერიის იმპერატორი ოტონ I: 955 წელს მან წერტილი დაუსვა ევროპაში უნგრელების შეჭრას. სხვათა შორის, ასევე წმინდა ლონგინოსის დღეს. მდინარე ლეხზე ბრძოლის შემდეგ მღვდელთა ლოცვიდან ამოიღეს ხსენება: „უფალო, გვიხსენ მადიარის (უნგრელის) ისრისაგან“.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ავსტრიის გერმანიასთან შეერთებას, ამ ჰიტლერულ ანშლუსს, ხსნიან მხოლოდ იმით, რომ, აიო, ჰიტლერს სურდა, დაუფლებოდა ბედისწერის შუბს. იგი კი ვენაში ინახებოდა. და აი, ეგეც შენ, ავსტრია დანებდა. 1938 წლიდან შუბი გერმანიაშია, ნიურნბერგში. შემდეგ კი?

ამბობენ, 1944 წელს ჰიტლერელთა შეტევა არდენში, ასე რომ შეაშინა მოკავშირეები, ემყარებოდა სწორედ იმ იმედს, რომ მათთან იქნება ბედისწერის შუბი, თვითმკვლელი სტრატეგია. შეუტიო მცირე ძალებით წინასწარ ცნობილ უპირატეს ჯარებს. და რაც ყველაზე საინტერესოა, ეს თითქმის შეძლეს. ჰიტლერის რწმენა, რომ მას აქვს სწორედ ის შუბი, თავისი როლი შეასრულა. შეუძლებელი შესაძლებელი აღმოჩნდა. ერთი წამით. გამარჯვების ილუზია. შემდეგ რუსების შეტევამ, კონსერვებმა, ვაზნების მარაგმა, მოკავშირეების ახალმა ჯარებმა და სხვა რამემ, თავისი გააკეთა.

ჰიტლერის ევროპა დაეცა. შუბი აღმოაჩინეს ამერიკელებმა 30 აპრილს, 14,15 საათზე ნიურნბერგში.

ერთი საათის შემდეგ ადოლფ ჰიტლერმა თავი მოიკლა. არტეფაქტი ამერიკის შეერთებულ შტატებში წაიღეს. შემდეგ კი, როგორც ამბობენ, დააბრუნეს უკან ვენაში მუზეუმში. მაგრამ დააბრუნეს კი?

**კონსტანტინ კუდიაშოვი**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

### სადაა ბედისწერის შუბი?





**1. შუბი ჰოფბურგიდან, ვენა (ავსტრია).**

**ყველა ამბობს, რომ იგი — სწორედ ისაა. თუმცა არის შეუსაბამობა. დიახ, მასში ჩამონტაჟებულია ლურსმანი უფლის ჯვრიდან. მაგრამ თავად შუბი დამზადებულია VII საუკუნეში ქრისტეშობის შემდეგ. სწორედ ამ იარაღის წყალობით სურდა ჰიტლერს დაუფლებოდა მსოფლიოს.**

**2. შუბი კრაკოვიდან (პოლონეთი)**

**რაც არ უნდა თქვან, მაგრამ ეს — მხოლოდ ასლია იმ ბუნიკისა, რომელსაც ვენაში უჩვენებენ.**

**3. ვატიკანის შუბი**

**ინახება წმინდა პეტრეს ბაზილიკაში, რომი, ვატიკანი. ძალიან ჰგავს ძველრომაულ შუბს, თუმცა პირის გარეშე. ამბობენ, რომ იგი მოტყდა ჯერ კიდევ ჯვაროსნულ ლაშქრობებამდე.**

**4 სომხური შუბი**

**ყველაზე ამოუცნობი არტეფაქტი. XIII საუკუნემდე იყო გეგარდვანკის (თარგმანი — „შუბის მონასტერი“) სავანეში. ახლა ეჩმიაძინის განძთსაცავშია, სომხური ეკლესიის კათოლიკუოსის რეზიდენციაში.**



◉ მკურნალი წინდები

## ფეხების ტკივილი გაწუხებთ?

**თურქეთის ლიცენზირებული ფირმა „POLAT“-ი ფეხების ტკივილისგან თავის დასაღწევად უნიკალური თვისებების მქონე სპეციალურ წინდებს გთავაზობთ.**



**ყველა ტიპის დიაბეტის, გულის სისხლძარღვთა და კანის სხვადასხვა ინფექციით გამოწვეული ფეხის დაავადებათა მკურნალობისას საგანგებო წინდები შეუცვლელი და უებარი საშუალებაა! ასეთი წინდები მისწრებაა იმათთვის, ვისაც ხანგრძლივი დროით ფეხზე დგომა ან გადაადგილება უწევს, აქვს კოჟრები, სოკოვანი დაავადებები, ოფლიანობა და სპეციფიკური სუნი!**

**წინდები ჩვეულებრივად ნელ-თბილ წყალში ირეცხება, მიზანშეწონილია მათი მთელი დღე-ღამის განმავლობაში ტარება.**

**შესაძენად დარეკეთ 299-62-77 (გ. ახვლედიანის 19), იკითხეთ კუკური.**

◉ კადრი



◉ ცინცხალი ანეკდოტები

**— როცა დავთვრები, არავისი და არაფრის არ მეშინია!**

**— არც ცოლისა?**

**— ეე, მაგ დონემდე ჯერ არ დამთვრალვარ...**

* * *

**— იცი, ძვირფასო, ჩვენ ერთმანეთს არ ვუხდებით.**

**— ჰო, მაგრამ სხვებს უფრო არ ვუხდებით.**

* * *

**— როგორ არის შენი ძმა? ისევ საავადმყოფოშია?**



**— არა. უკვე გამოეწერა. თუმცა, საქმე გართულდა.**

**— რაო, ავადმყოფობის რეციდივებია?**

**— არა, მაგრამ ახლა, ალბათ, ექთანზე მოუწევს დაქორწინება.**

* * *

**— ნახე, შვილო, მე და დედაშენი ამ ფოტოზე მაიმუნთა საშენში აღგვბეჭდეს, — ეუბნება მიხო ნიკას.**

**— რამდენჯერ უნდა გითხრათ, რომ მაგ ფოტოზე მე არ ვარ! — ისმის პასუხად მაროს ხმა.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24